საქართველოს რესპუბლიკა

www.sakresp.ge



იმისთანა წმინდა საქმეში, რომელიც ბოლოდროინდელი სიფცქვაა, ფაფუილებით და ჭოჭოებით ბუჩქთის გაფანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

სამშაბათი, 22 ნოემბერი. 2016 წ. №218 (8109), გამოცემის 98-ე წელი | ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge | ფასი 50 თეთრი.

მზე – მარიამ მამადაშვილი

საბავშვო ევროვიზიაზე უკვე მესამედ გაიბრწყინა ქართულმა ნიჭმა... ათი წლის მარიამ მამადაშვილმა ისე ემოციურად და კარგად უმღერა მზეს (გიორგი კუხიანიძის ახალ სიმღერას სწორედ ასე ჰქვია – „მზეო“), რომ ევროპის 17 ქვეყნის და ავსტრალიის მაყურებელი, ჟიური, მალტის დედაქალაქის 1500-კაციანი დარბაზი აღაფრთოვანა და... 239 ქულით პირველი ადგილი დაისაკუთრა.

ღმერთმა გვიმრავლოს! გილოცავთ, პატარა მზის სხივო!



გამომშვიდობება დიდ ხელოვანთან

10–11

გიზო ჟორდანიას ხსოვნას

როდემდე გვარამიას „დემოკრატიული ჯოჯოხეთი?!“

შეგახსენებთ, რომ გუშინ უზენაეს სასამართლოში დაიწყო „რუსთავი-2“-ის საქმის განხილვა. კოლეგია ტელეკომპანიის იმ სარჩელს განიხილავს, რომლის მიხედვითაც „რუსთავი-2“-ის ადვოკატები სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილების გაუქმებას ითხოვენ. სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებით კი ტელეკომპანია კანონიერ მფლობელს ქიბარ ხალვაშს მიეკუთვნა.

ეს წმინდა წყლის სამართლებრივი საქმეა. ის კი არა, ახალ ხელისუფლებას აქამდეც უნდა აღედგინა სამართლიანობა ქვეყანაში ბევრი თვალსაზრისით და „რუსთავი-2“-ც, რომელიც ნაციონალებმა ჩვეულებისამებრ, თავის დროზე ყაჩაღურად წაართვეს კანონიერ მფლობელს, სასწრაფოდ უნდა დაებრუნებინათ ქიბარ ხალვაშისთვის.

2012 წლის არჩევნების შემდეგ ნაციონალებმა ასევე კანონიერი მფლობელისთვის ყაჩაღურად წართმეული „იმედი“ მალევე დაუბრუნეს პატარკაციშვილებს, მაგრამ ხელისუფლებაში კვლავ დაბრუნებისთვის თავგადაკლული სააკაშვილი „რუსთავი-2“-ს ვერ შეეღია, იქ თავისი ყურმოჭრილი მონა-ქვეშევრდომი, იურიდიულად ენაგატლეკილი ნიკა გვარამია დანიშნა გენერალურ დირექტორად, რომლის ერთ-ერთი უპირველესი დავალება იყო საქართველოს ჯოჯოხეთად გადაქცევა და სწორედ ამ გაჯოჯოხეთებული საქართველოს გზით ხელისუფლებაში ანტიეროვნული, მავნებელი ძალის – ნაციონალების დაბრუნება.

ამ დავალებას ნიკა გვარამია, როგორც ჯოჯოხეთის მოციქულს შეეფერება, სააკაშვილის ინსტრუქციის მიხედვით ფრიადზე ასრულებდა და, საუბედუროდ, დღემდე ამ მავნებლური გზიდან არ გადადის.

მთავარი კი აქ მაინც ის არის, რომ ეს გენერალური ქოსატყუილა მთელი ჩვენი საზოგადოების უნამუსოდ დარწმუნებას ცდილობს, თითქოს „რუსთავი-2“-ს ხელისუფლება ებრძვის როგორც დემოკრატიის ინსტიტუტს, როგორც თავისუფალი სიტყვის ბასტიონს. ეს მაშინ, როცა ამ აშკარად ანტისახელმწიფოებრივ არხს არცრა საერთო არა აქვს რა არც დემოკრატიასთან და არც სიტყვის თავისუფლებასთან.

პირიქით, ამ არხიდან უწინარესად სწორედ გვარამიას წყალობით (როგორც უკვე აღვნიშნეთ, ძებნილი სააკაშვილის ინსტრუქციისდა თანახმად) თავისუფლად ინთხევა გესლი და შხამი, ქვეყანაში ყოველწამიერად ღივდება უიმედობისა და ხელჩაქნეულობის მავნე თესლი, რასაც ხსენებული ინსტრუქციის მიხედვით სიდუხჭირისგან შეღონებული ხალხის ყვითელი ჯანყი უნდა მოჰყვეს.

ჩვენ საქართველოში კი არა, ჯოჯოხეთში ვცხოვრობთ. აი ამ სატანისტური აზრის საბოლოოდ დამკვიდრებას ცდილობს ეს გენერალური ქოსატყუილა გვარამია, რომელიც ბოლო ორი ათეული წელიწადია, მიეჩვია უზრუნველ, მუქთახორულ, კარგა გვარიანად შეძლებულ ცხოვრებას და შეჩვეულის გადაჩვევა კი, მოგეხსენებათ, არცთუ ადვილი საქმეა!

გვარამიამ თავისი თავი თვითონ „რუსთავი-2“-ს გაუთანაბრა. ის ყველაფერს აკეთებს იმ ლეგენდის შესაქმნელად, თითქოს უგვარამიოდ „რუსთავი-2“ საერთოდ ვერ იარსებებს და საქართველოში ერთხელ და სამუდამოდ დაიღუპება როგორც დემოკრატია, ისე სიტყვის თავისუფალი გამოხატვის ყოველგვარი საშუალება.

ამას, ალბათ, მხოლოდ გონებასუსტი ადამიანები თუ დაიჯერებენ, ვისაც გვარამია გაბუნიასთან ერთად მართლა დემოკრატიისა და თავისუფალი სიტყვისთვის თავგამოდებულნი ჰგონიათ. არადა, „რუსთავი-2“ სწორედ ამ ორი გაუკულმართებული ადამიანის წყალობით ახერხებს ქვეყნის ერთგვარ გაჯოჯოხეთებას.

თუ მართალი კაცია, როგორც თავად სურს გვარამიას საზოგადოებისთვის თავის მოჩვენება, რატომ ერთხელ მაინც არ დასცდენია, რომ „რუსთავი-2“-ს არავინ არ ედავება სარედაქციო პოლიტიკის გამო და ეს არა პოლიტიკური, არამედ მხოლოდ და მხოლოდ სამართლებრივი დავაა.

ან რატომ ცდილობს ჩვენს დაჯერებას, რომ თუ თვითონ, ეს გენერალური ქოსატყუილა არ იქნება ამ არხის დირექტორი, რედაქციის პოლიტიკა შეიცვლება.

მე პირადად დარწმუნებული ვარ, რომ ქიბარ ხალვაშის დირექტორობის დროს „რუსთავი-2“ ბევრად უფრო კრიტიკული გახდება. ოღონდ ეს კრიტიკა მიმართული იქნება არა ქვეყნის გაჯოჯოხეთებისკენ, არამედ გასამოთხებისკენ.

სამოთხის აშენება კი მხოლოდ და მხოლოდ ჯანსაღი კრიტიკით არის შესაძლებელი.

ერთი სიტყვით, სამართლიანობა უსწრაფესად უნდა აღდგეს. თეორიულად აკი თვითონ გენერალური ქოსატყუილაც ამას ქადაგებს.

ამ შემთხვევაში კი სიმართლის აღდგენა ნიშნავს „რუსთავი-2“-ის დაბრუნებას კანონიერი მფლობელისთვის.

ეს კანონიერი მფლობელი კი ქიბარ ხალვაშია!

დასასრულ უნდა ვიკითხოთ, მაინც როდემდე აპირებს გენერალური ქოსატყუილა გვარამია სხვისი არხის უფროსობას და, საერთოდ, ვინ დანიშნა და რა ვადით ის ამ თანამდებობაზე?!

ეჭვი არ გვეპარება, რომ უზენაესი სასამართლო ერთხელ და სამუდამოდ გასცემს პასუხს ამ ვიგინდარა ქოსატყუილას და ერთხელ და სამუდამოდვე ყველაფერს თავისი ნამდვილი სახელი დაერქმევა.

გურამ წიკლაური

„რუსთავი-2“ იმიტომ არის „ცრუსთავი-2“, რომ გენერალური დირექტორი ნიკა გვარამია გენერალური ქოსატყუილაა, რომელსაც შეცდომაში შეჰყავს მთელი ქართველი საზოგადოება

გიორგი კვირიკაშვილი: ამერიკა-საქართველოს სტრატეგიული პარტნიორობა გაგრძელდება

საქართველოს აქვს მაღალი, ორპარტიული მხარდაჭერა ამერიკის შეერთებული შტატების მხრიდან, რაც მნიშვნელოვანი ფაქტორია თანამშრომლობის კიდევ უფრო გაღრმავებისთვის, — ამის შესახებ აშშ-ის სახელმწიფო მდივნის თანაშემწის მოადგილემ ბრიჯიტ ბრინკმა საქართველოს პრემიერ-მინისტრის მოვალეობის შემსრულებელ გიორგი კვირიკაშვილთან გამართულ შეხვედრაზე განაცხადა.

ბრიჯიტ ბრინკმა გიორგი კვირიკაშვილს საპარლამენტო არჩევნების წარმატებით ჩატარება მიულოცა და იმედი გამოთქვა, რომ მოსახლეობის მხრიდან გამოცხადებული ნდობა საქართველოს ხელისუფლებას დასახული მიზნების განხორციელების შესაძლებლობას მისცემს. მხარეებმა განიხილეს ორი ქვეყნის სტრატეგიული ურთიერთობების ძირითადი საკითხები, მათ შორის თავდაცვისა და უსაფრთხოების, ეკონომიკისა და ვაჭრობის, დემოკრატიისა და ადამიანის უფლებების, განათლებისა და კულტურის სფეროებში თანამშრომლობის პერსპექტივები. მთავრობის ადმინისტრაციაში გამართულ შეხვედრას ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებშიინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის მოვალეობის შემსრულებელი დავით ბაქრაძე დაესწრო.

სტოლტენბერგი: საქართველო ნატოს მყარი პარტნიორია

საქართველო თურქეთის მყარ პარტნიორად რჩება. ამის შესახებ ნატოს გენერალურმა მდივანმა სტამბოლში ნატოს საპარლამენტო ასამბლეის 62-ე სესიაზე განაცხადა. იენს სტოლტენბერგის თქმით, ალიანსს საქართველოსთან მჭიდრო თანამშრომლობა აქვს, რომელიც კიდევ უფრო გაღრმავდება.

„საქართველო ნატოს ახლო პარტნიორია. ჩვენ ვაძლიერებთ ნატოს ყოფნას საქართველოში. ჩვენ ვეხმარებით მათ რეფორმებში, უსაფრთხოების უზრუნველყოფაში. ჩვენ დავაფუძნეთ საქართველოში გასულ წელს საწვრთნელი ცენტრი, მომავალი წლის მაისისთვის კი საქართველოში ნატოს საპარლამენტო ასამბლეის სესიის ჩატარებაზე ვფიქრობთ,“ — აღნიშნა სტოლტენბერგმა.

ბიუროს პირველი სხდომა პარლამენტში

გუშინ ახალარჩეული პარლამენტის ბიუროს პირველი სხდომა გაიმართა. სხდომას პარლამენტის თავმჯდომარე ირაკლი კობახიძე უძღვებოდა.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვის დროს, ბიურომ ცნობად მიიღო საქართველოს პრეზიდენტის შესაბამისი განკარგულებები საქართველოს მთავრობის ახალი შემადგენლობის შექმნამდე საქართველოს მთავრობისათვის მოვალეობის შესრულების დაკისრებისა და პრემიერ-მინისტრის

თანამდებობაზე საქართველოს 2016 წლის საპარლამენტო არჩევნებში საუკეთესო შედეგის მქონე საარჩევნო სუბიექტის — მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანების „ქართული ოცნება — დემოკრატიული საქართველოს“ მიერ წარმოდგენილი გიორგი კვირიკაშვილის კანდიდატურის წამოყენების შესახებ.

ბიურომ პარლამენტის კომიტეტების პირველი საორგანიზაციო კომიტეტების სხდომების ოქმები და კომიტეტების დებულებების პროექტები დაამტკიცა.

პარლამენტის თავმჯდომარემ ირაკლი კობახიძემ თხოვნით მიმართა პარლამენტის კომიტეტებს, წარმოადგინონ თავიანთი დასკვნები განხილვის პროცესში მყოფ საკითხებთან დაკავშირებით. **ირაკლი კობახიძის განცხადებით, პრემიერ-მინისტრობის კანდიდატი გიორგი კვირიკაშვილი სადღეისოდ მინისტრობის კანდიდატების წარდგენას გეგმავს და აქედან გამომდინარე, სავარაუდოდ, დღესვე, 15:00 საათზე ბიუროს სხდომა გაიმართება.**

ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტმა თავმჯდომარის მოადგილეები აირჩია

კომიტეტის უმრავლესობის გადაწყვეტილებით, ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტის თავმჯდომარის პირველი მოადგილე გედევან

ფოფხაძე იქნება. ფოფხაძის გარდა, კიდევ ორი მოადგილე ეყოლება თავმჯდომარეს. „ქართული ოცნების“ მხრიდან აღნიშნულ თანამდებობაზე რატი იონათამიშვილი, ხოლო ოპოზიციიდან „ნაციონალური მოძრაობის“ წევრი გიორგი ტულუში იყვნენ წარდგენილები. ორივე კანდიდატს კომიტეტის წევრების უმრავლესობამ დაუჭირა მხარი.

ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტმა ასევე კომიტეტის დებულებასაც დაუჭირა მხარი, რომელიც დასამტკიცებლად პარლამენტის ბიუროს გადაეგზავნა.

საზოგადოებრივი მაუწყებლის გენერალურმა დირექტორმა თანამდებობა დატოვა

საზოგადოებრივი მაუწყებლის გენერალურმა დირექტორმა გიორგი ბარათაშვილმა თანამდებობა დატოვა. ბარათაშვილის გადაწყვეტილება სამეურვეო საბჭოს სახელზე კანცელარიაში უკვე დარეგისტრირდა.

გიორგი ბარათაშვილის გადაწყვეტილების დაკმაყოფილების შემთხვევაში, საზოგადოებრივი მაუწყებელი ვალდებულია, თანამდებობაზე 10 დღის ვადაში კონკურსი გამოაცხადოს. მედიაში უკვე სახელდებიან სხვადასხვა კანდიდატები.

იუნისეფი: საქართველოში ყოველი მეხუთე ბავშვი სიღარიბის ზღვარს მიღმა ცხოვრობს

სიღარიბის მაჩვენებელი შემცირდა, თუმცა გაიზარდა ჯანდაცვაზე გაწეული ხარჯები, — ნათქვამია „იუნისეფის“ ახალ კვლევაში.

კვლევის მიხედვით, ყოველი მეხუთე ბავშვი სიღარიბის ზღვარს მიღმა ცხოვრობს, ხოლო ყოველი მეექვსე ბავშვი საარსებო მინიმუმზე ნაკლებს მოიხმარს.

ღარიბ ბავშვებს კვლავ ნაკლები შესაძლებლობა აქვთ, რომ ისწავლონ საგანმანათლებლო დაწესებულებებში. „ბავშვის უფლებათა დაცვა ახლა ისე აუცილებელია, როგორც არასდროს და არსებითია უფრო ძლიერი და სტაბილური საზოგადოების ჩამოყალიბებისთვის. საჭიროა მეტი ინვესტიცია ყველაზე დაუცველი ბავშვებისთვის. სხვაგვარად გვექნება ნელი ზრდა, მეტი უთანასწორობა და ნაკლები სტაბილურობა“, — განაცხადა გაეროს ბავშვთა ფონდის წარმომადგენელმა ლაილა ომარ გადმა.

◎ სარკინიგზო ტრანსპორტი

ქართულ-ჩეხური „გამწევი ძალით“...

იმ პირობებში, როცა ოდესღაც დარგის ფლაგმან საწარმოს დღესდღეობით, სპორტული ტერმინოლოგია რომ გამოვიყენოთ, „პოზიცია დაკარგული“ აქვს, უცხოელ პარტნიორთან სოლიდურ ბაზაზე დაფუძნებული თანამშრომლობა დიდ სიკეთეს უქადის როგორც თავად კომპანიას, ასევე ეროვნულ ეკონომიკას. მით უმეტეს იმის გათვალისწინებით, რომ ამ შემთხვევაში ლაპარაკია საქართველოსთვის ისეთ უმნიშვნელოვანეს დარგზე, როგორიცაა რკინიგზა, რომლის მოძრავი შემადგენლობით თანამედროვე მოთხოვნათა შესაბამისად აღჭურვა უმნიშვნელოვანესი და მაქსიმალურად მოკლე ვადაში გადასაწყვეტი საკითხია. ამას სავსებით რეალური საფუძველი აქვს: ცოტა ხნის წინათ ჩინეთთან დადებული უაღრესად ფართომასშტაბიანი სავაჭრო ხელშეკრულება სარკინიგზო-სატვირთო გადაზიდვების მნიშვნელობას აღმოსავლეთ-დასავლეთის მიმართულებით გაცილებით ზრდის, ისევე, როგორც ევროკავშირთან ინტეგრირების პერსპექტივაში არანაკლებ მნიშვნელოვანია აღმოსავლეთ-დასავლეთის მიმართულება და, ზოგადად, საქართველოს სატრანზიტო სარკინიგზო დერეფნის როლი.

ამდენად, ის გარემოება, რომ ახლახან სს „ელმავალმშენებელში“ ჩეხური კომპანიის „შკოდა ელექტრიკის“ სპეციალისტების მიერ შესრულებული ასინქრონული წევის ძრავების მქონე მუდმივი დენის 8ე1მ1 სატვირთო ელმავლის საკონსტრუქტორო დოკუმენტაციის დასრულების აქტი გაფორმდა, დიდი მნიშვნელობის მქონე მოვლენაა. აღნიშნული პროექტის განხორციელებაში „შკოდა ელექტრიკი“ სს „ელმავალმშენებლის“ მთავარი პარტნიორი იყო. ამასთან დაკავშირებით, სს „საქართველოს რკინიგზის“ სატვირთო გადაზიდვების დირექტორის მოადგილემ **ალექსანდრე ქორელმა,** კერძოდ განაცხადა, რომ საქართველოს რკინიგზა, როგორც გამოცხადებულ ინტერესთა ერთ-ერთი მონაწილე მხარე, პროექტის პრაქტიკულად განმახორციელებელი კომპანიის გამოვლენას დაელოდება და, მისი თქმით, დიდი ალბათობით, ეს სს „ელმავალმშენებელი“ იქნება.

— თუკი ტენდერში გავიმარჯვებთ, მაშინ ჩვენ მოგვეცემა სრული უფლება, რომ ერთი ასინქრონული წევის ელმავალი 8-9 თვის მანძილზე გავაკეთოთ, შემდგომ კი სამი თვის განმავლობაში ის სათანადო სერტიფიკატით აღვჭურვოთ და დამკვეთთან, სს „საქართველოს რკინიგზასთან“ ერთად მისი ტესტირება ერთი წლის მანძილზე ჩავატაროთ, — აღნიშნა საკონსტრუქტორო დოკუმენტაციის დასრულების გაფორმების ცერემონიაზე სს „ელმავალმშენებლის“ დირექტორმა **დავით გორგაძემ.** — როცა ყველა პარამეტრი სტანდარტების შესაბამისი იქნება, არსებულ ინტერესთა გამოხატვის პროცედურის თანახმად, კიდევ დამზადდება 8ე1მ1 ტიპის კიდევ 44 ელმავალი, რომელთაგან საქართველოს რკინიგზას ყოველწლიურად 5-6 ერთეული მიეწოდება. ესაა უმნიშვნელოვანესი სიახლე, რომელიც ჩვენს საწარმოს ტექნოლოგიების განვითარებისა და წინსვლის შესაძლებლობას მისცემს, — თქვა მან.

კომპანია „შკოდა ელექტრონიკის“ წარმომადგენელთა მიერ ქართული მხარისთვის ასინქრონული წევის ძრავის მქონე 8ე1მ1 ტიპის მუდმივი დენი ელმავლის საკონსტრუქტორო დოკუმენტაციის გადაცემის ოფიციალურ პროცედურას საქართველოში ჩეხეთის ელჩი **თომაშ პერნიცკი,** მისიის ხელმძღვანელის მოადგილე **ირჟი პრეცლიკი,** სხვა ოფიციალური პირნი, მასმედიის წარმომადგენლები დაესწრნენ.

ტექნიკური თვალსაზრისით, 8ე1მ1 ასინქრონული წევის ძრავის მქონე ელმავლები 3 ათასი ვოლტის ძაბვით ელექტრიფიცირებულ და 152 სანტიმეტრის მქონე სიფართის სარკინიგზო ლიანდაგებზე სატვირთო შემადგენლობების სატარებლადაა განკუთვნილი. მათ საათში 120 კილომეტრის სიჩქარის განვითარება შეუძლიათ, თუმცა კი, თანამედროვე მოთხოვნათა გათვალისწინებით, დამპროექტებლებმა მაქსიმალურად გაითვალისწინეს უსაფრთხოების მოთხოვნები, ტექნიკური და შეკეთებითი მომსახურების სიმარტივე, ასევე საექსპლუატაციო ხარჯის შემცირების აუცილებლობა. ამის გაკეთების შესაძლებლობა „შკოდა ელექტრიკს“ მაღალკვალიფიციური კადრებისა და მუშაობის მდიდარი, მათ შორის საერთაშორისო პრაქტიკის წყალობით აქვს: მისი სპეციალისტები წლების მანძილზე მუშაობდნენ თურქეთში, ჩინეთსა და გერმანიაში არა მხოლოდ ელმავლების, არამედ ერთიანად სალიანდაგო ტექნიკის შექმნაზე.

ასევე დიდი ტრადიციებისა და სახელოვანი სამეწარმეო ისტორიის მქონეა საქართველოს მრეწველობის თავის დროზე ერთ-ერთი გამორჩეული საწარმო ელექტროვაგონშემკეთებელი ქარხანა, ამჟამად სს „ელმავალმშენებელი“, რომელიც გასული საუკუნის 30-იან წლებში დაარსდა, პირველი პროდუქცია კი 1957 წელს გამოუშვა. საწარმოს მიერ დღემდე 4,5 ათასზე მეტი ერთეული ჩვეულებრივი ელმავალი და 400 ერთეულზე მეტი სამრეწველო კოქსმქრობი ელმავალი აქვს გამოშვებული. სადღეისოდ სს „ელმავალმშენებელი“ თანამედროვე, დინამიკურად განვითარებადი საწარმოა, რომელსაც საქმიანობისთვის აუცილებელი მთელი ტექნიკური არსენალი გააჩნია.

ოთარ ტურაბელიძე

ქართული დომხალი, ანუ რა ეშველება ქვეყანას?!

უსაფრთხოება ბიუჯეტისა და პასუხისმგებელი პირების გარეშე

საჭიროებს თუ არა ეროვნული უსაფრთხოების კონცეფცია განახლებას, ახალი გეოპოლიტიკური მოვლენებიდან გამომდინარე და რამდენად არის გათვალისწინებული ახალი გამოწვევები უკანასკნელად 2011 წელს შეცვლილ დოკუმენტში? – ამ თემებზე დღეს უშიშროების გადამდგარი პოლკოვნიკი **ბესიკ ალადაშვილი** გვესაუბრება.

მისი აზრით, ქვეყნის უსაფრთხოების მთავარ დოკუმენტში არ არიან განსაზღვრული კონკრეტულ მიმართულებაზე პასუხისმგებელი პირები და მათი მოქმედების ვადები. ამასთან, არ არსებობს შესაბამისი ბიუჯეტი, რაც ნიშნავს, რომ ქვეყანას უსაფრთხოება არა აქვს.

– რიგით მოქალაქეებს რომ თავი დავანებოთ, შესაძლოა, ძალიან ბევრმა პარლამენტარმა და მთავრობის წევრმა ზუსტად არ იცოდეს, რა არის ქვეყნის ეროვნული უსაფრთხოება. ძალიან მარტივად რომ ვთქვათ, ეს არის ქვეყნის სტაბილური განვითარება ყველა კომპონენტით – ეკონომიკური, სამხედრო, კულტურული, სოციალური და ა.შ. შემდეგ ეს, ბუნებრივია, აერთიანებს მთავარ სტრატეგიულ ბლოკებს – ეკონომიკურს, სოციალურს, სახელმწიფო წყობას და ა.შ.. ამ დოკუმენტს, როგორც წესი, ყველა ქვეყანაში ქმნის ეროვნული უსაფრთხოების საბჭო და ის პრეზიდენტთან არსებული საკოორდინაციო ორგანოს მთავარი დოკუმენტია. ეს დოკუმენტი იმისთვის იქმნება, რომ გათვლილი იყოს საფრთხეები, რისკები, გამოწვევები და ამასთანავე, დასახული იყოს მათი განეიტრალების გზები. ეს მრავალწახნაგოვანი დოკუმენტია, იქმნება სტრატეგიული პერიოდისთვის – 10-15 წლისთვის და მასში ჩამოთვლილია, ვთქვათ, 2-3 წელიწადში შესასრულებელი ამოცანები, – განმარტავს ალადაშვილი.

პირველი კონცეფცია 2005 წელს მიიღეს. მასში ჩამოთვლილი იყო საფრთხეები ცალკეული მიმართულებით – ენერგეტიკული, ეკონომიკური, ინფრასტრუქტურული და ა.შ, და მოცემული იყო ზოგადი შეხედულებები მათ გადასაჭრელად.

ალადაშვილის შეფასებით, ამ დოკუმენტის მთავარი ნაკლი იმაში მდგომარეობდა, რომ ის იმჟამინდელი საფრთხეების დონეზე არ იყო გათვლილი და ქვეყანას 2008 წელს რუსეთიდან მომდინარე სამხედრო საფრთხე წინ დახვდა.

2011 წელს მიიღეს ახალი დოკუმენტი. მასში დოქტრინები უკვე სხვაგვარად იყო გაწერილი, თუმცა პრობლემები სრულად არც ამ შემთხვევაში აღმოიფხვრა. კერძოდ, მთავარი პრობლემა, რომელიც ორივე დოკუმენტს ახლავს, იმაში მდგომარეობს, რომ არც ერთი მათგანი არ ითვალისწინებს აღსრულების მექანიზმს, ანუ იმას, ვინ რაზეა პასუხისმგებელი და რა ვადებში. გარდა ამისა, ექსპერტის თქმით, ეროვნული უსაფრთხოების ღონისძიებები ასახული უნდა იყოს ბიუჯეტში: **„ყველა ნორმალურ ქვეყანას აქვს სტრატეგიული გეგმა. მაგალითად, ჯერ კიდევ სააკაშვილის პერიოდიდან დაიწყო გაზსაცავის მშენებლობის საკითხზე საუბარი. ეს იმას გულისხმობს, რომ საჭიროების შემთხვევაში ქვეყანას შეეძლოს არსებობა გაზის იმპორტის გარეშე, მაგრამ გავიდა 7-8 წელი და საკითხი კვლავ პროექტის დონეზეა. რეალურად, ქვეყნის ბიუჯეტში არ არის გათვალისწინებული არც ერთი თეთრი საქართველოს უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად. შესაბამისად, , ნებისმიერი დოქტრინა და იგივე პრეზიდენტ მარგველაშვილის პარლამენტის პირველ სხდომაზე გამოხატული ინიციატივის აღსრულებაც იქნება წყლის ნაყვა, თუ ამის უკან არ დადგება კონკრეტული დავალებები – ვინ უნდა შეასრულოს, რა ვადაში და რა თანხას გამოყოფს სახელმწიფო ამისთვის“.**

ალადაშვილს პრობლემების არსებობის დასტურად კიდევ ერთი მაგალითი მოჰყავს:

– ყველას კარგად გვახსოვს 2008 წლის ომი. საქართველოს, სამწუხაროდ, ერთი მაგისტრალური გზა აქვს, რომელიც გორთან რუსებმა გადაკეტეს და საქართველო ორად გაიყო. დღესაც იგივე პრობლემა დგას. საქართველოს, სამწუხაროდ, ერთი რკინიგზა აქვს. სოფელ გრაკალთან ააფეთქებ ხიდს და საქართველოს რკინიგზა გაითიშება, ანუ 2008 წლის შემდეგ რეალურად, არაფერი გაკეთებულა, რომ იყოს ალტერნატიული გზები. აღარაფერს ვამბობ ინტელექტუალური რესურსის გადინებაზე: ვკარგავთ იმ ხალხს, რომელმაც მომავლის საქართველო უნდა შექმნას, – ამბობს ექსპერტი.

ალადაშვილი ფიქრობს,რომ ახალი გეოპოლიტიკური რეალობა შესაბამისად უნდა იყოს ასახული ეროვნული უსაფრთხოების კონცეფციაში: **– 2011 წლის დოკუმენტი, ანუ ბოლო კონცეფცია, ალბათ, დამეთანხმებით, მოძველებულია და თავიდანვე იყო მოძველებული და ქმედითუუნარო. მას შემდეგ არა მარტო ჩვენ, მთელი მსოფლიო ახალი გამოწვევების წინაშე დგას. იგივე უკრაინის მოვლენები, სერიოზული გეოპოლიტიკური ცვლილებები სამხრეთ კავკასიაში... ვნახოთ, თუ მოხდება სასიკეთო ცვლილებები ირანში. უფრო დამაფიქრებელი და მძიმე პროცესები მიდის თურქეთში და ესეც გასათვალისწინებელია. და საგარეო პოლიტიკური კუთხით ეროვნული უსაფრთხოების კონცეფციამ რეალური სურათი უნდა შექმნას. ასევე მნიშვნელოვანია ეკონომიკური უსაფრთხოების გამოწვევები. ვხედავთ, რომ დღეს სტრატეგიულ ნედლეულზე ფასების რეგულირება სპონტანურად ხდება და რიგ შემთხვევებში აქ არანაირი საბაზრო მექანიზმები არაა ჩართული. შეიძლება, რომელიღაც ქვეყნების შეთანხმების საფუძველზე მოხდეს ფასების მოულოდნელი ზრდა. ჩვენი ქვეყანა ამისთვის მზად იქნება?! მეტიც, უშიშროების უმაღლეს საბჭოში არ არსებობს არანაირი ეკონომიკური დანაყოფი. ეს სააკაშვილის დროიდან მოდის და დღემდე ასე გრძელდება.**

ამასთან, ექსპერტი მმართველ გუნდის ევროენული უშიშროების საბჭოსადმი დამოკიდებულების გამოც აკრიტიკებს: **– სააკაშვილის დროს შეიტანეს კონსტიტუციაში ცვლილებები და პრეზიდენტის უფლებამოვალეობები საოცრად შეიზღუდა. კურიოზამდე მივიდა საქმე. პრეზიდენტს არ ექვემდებარება არც ერთი ძალოვანი სტრუქტურა, თუმცა მთავარსარდალი ჰქვია. დღესაც ეს პრობლემაა. არსებობს ორი საბჭო. ერთი პრეზიდენტს ექვემდებარება, მეორე – პრემიერს. ეს უკანასკნელი ალბათ, მხოლოდ ძლიერი ქარების, წვიმებისა და ჭექა-ქუხილის დროს იკრიბება – კრიზისების მართვის საბჭო. ცოტა კურიოზულია, როდესაც ქვეყანაში არსებობს ორი უწყება, ხდება დუბლირება, არ არის კარგად გამიჯნული უფლებამოვალეობები. აბსოლუტურად ნიველირებულია პრეზიდენტთან არსებული საკოორდინაციო ორგანო – ე.წ. უშიშროების უმაღლესი საბჭო. თუ „ქართული ოცნების“ რიგი წევრების წინასაარჩევნო დაპირებებს მოვუსმენთ და პრეზიდენტის უფლებამოსილება კიდევ შეიზღუდება, მივიღებთ იმას, რომ ქვეყანაში არ იქნება საფრთხეების გამოვლენის და გადაჭრის ერთიანი ხედვა. ეს პრობლემა კვლავ ძალაშია. ხვალაც შესაძლოა, საბჭოს სხდომაზე არავინ მივიდეს, ან მივიდეს და გამოვიდეს, რათა ჩვენმა უცხოელმა პარტნიორებმა ჩათვალონ, რომ პრეზიდენტი არსებობს და მთავრობა მას ანგარიშს უწევს. მხოლოდ ამისთვის საბჭოს სხდომების ჩატარება უკვე ამაზრზენი ხდება. რა საკითხები წყდება, ეს უნდა ვნახოთ. ჩვენ კი ვხედავთ, რომ არც ერთი სტრატეგიული საკითხი საბჭოს სხდომაზე არ გასულა, ან თუ გავიდა, ჩვენ არ ვიცით, როგორი გადაწყვეტილება მიიღეს. ეს არის ქართული დომხალი, რომელსაც, სამწუხაროდ, მივეჩვიეთ. ყველა მიმართულებით გვაქვს პრობლემა. იქმნება ილუზია, რომ ვიღაც რაღაცას აკეთებს, მაგრამ ეს პრობლემები მხოლოდ კიდევ უფრო ღრმავდება. დღეს ან ხვალ რომ მოხდეს დივერსიული აქტი და ააფეთქონ საქართველოს მთავარი გაზსადენი ან რკინიგზის ხაზი, რა ეშველება ქვეყანას, ვინმე გვეტყვის? ეს ჩვენმა მტრებმა იციან და უკვე მრავალი წელია, კარგადაც იყენებენ,** – ფიქრობს ალადაშვილი.

დიანა მუსელიანი,
„აქცენტი“

როდის „დაიჭირხნება“ გაზი?!

წლის ბოლომდე გაზსაცავის საინჟინრო პროექტი შემუშავდება

ბუნებრივი **გაზსაცავის მოწყობა აქტიურ ფაზაში გადადის. საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაციამ გაზის მიწისქვეშა საცავის პროექტის განვითარების, მეორე ფაზის ფარგლებში, სამგორის სამხრეთი თაღის ნავთობის საბადოზე ორი ახალი ჭაბურღილის გაბურღვის მიზნით, ტენდერი გამოაცხადა.**

გაზსაცავის პროექტის განვითარების პირველი ეტაპის დროს ჩატარებულმა ტექნიკურ-ეკონომიკურმა შესწავლამ დაადასტურა, რომ გაზსაცავის სამშენებლო სამუშაოების დაწყებამდე აუცილებელია დამატებითი გეოლოგიური კვლევების ჩატარება სამგორის სამხრეთი თაღის საბადოზე. ეს ითვალისწინებს ამ საბადოზე ორი შემფასებელი ჭაბურღილის ბურღვას, დაახლოებით, 2500 მეტრამდე სიღრმეზე.

ზემოაღნიშნული სამუშაოების შედეგად მიღებულ გეოლოგიურ მონაცემთა ლაბორატორიულ ანალიზსა და სხვა კომპლექსურ ინფორმაციაზე დაყრდნობით, კორპორაციის კონსულტანტი ფრანგული საინჟინრო კომპანია „ჯეოსტოკი“ 2017 წლის ბოლომდე მოახდენს გაზსაცავის საბოლოო საინჟინრო-საპროექტო და სამშენებლო დოკუმენტაციის შემუშავებას.

გაზის მიწისქვეშა საცავის პროექტის სამშენებლო სამუშაოების დაწყება 2018 წლის დასაწყისში, დასრულება კი – 2020 წლისთვის იგეგმება, ანუ იმ დროისთვის, როდესაც საქართველოს მიერ შაჰ-დენიზის გაზსადენიდან მისაღები გაზის მოცულობა მნიშვნელოვნად გაიზრდება.

„კომერსანტის“ ინფორმაციით, გაზსაცავი თბილისთან ახლოს, სამგორის სამხრეთი თაღის დაცლილ, გასული საუკუნის 70-80-იან წლებში დამუშავებულ ნავთობის საბადოზე აშენდება და იქ 300 მლნ კბ/მ-მდე მოცულობის ბუნებრივი გაზის შენახვა იქნება შესაძლებელი. ეს ქვეყნის დღევანდელი მთლიანი წლიური მოხმარების დაახლოებით 15%-ია.

გაზის მიწისქვეშა საცავის მშენებლობით მნიშვნელოვნად ამაღლდება საქართველოს ენერგეტიკული უსაფრთხოება, რადგან ბუნებრივი გაზის ქვეყნის გარედან მოწოდების შეწყვეტის შემთხვევაში შესაძლებელი იქნება მომხმარებლებისათვის გაზსაცავიდან გაზის მიწოდება; ასევე გაზის მიწოდებასა და მოხმარებას შორის არსებული სეზონური დისბალანსის დარეგულირება და ზამთრის პერიოდში პიკური მოხმარების დაკმაყოფილება.

გაზსაცავის მშენებლობა დაფინანსდება საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაციის შიდა წყაროებიდან, ასევე საერთაშორისო საფინანსო და დონორი ორგანიზაციებიდან მოზიდული თანხებით. ამ საკითხზე კორპორაცია აქტიურ მოლაპარაკებას აწარმოებს კომერციულ ბანკებთან, საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტებთან და კერძო კომპანიებთან, მათ შორის, კომპანია „სოკართანაც“. დაფინანსების ერთ-ერთ საშუალებად აგრეთვე განიხილება ევროობლიგაციების განთავსება საფონდო ბირჟებზე.

მიწისქვეშა გაზსაცავის აშენებით საქართველოს გაუჩნდება ბუნებრივი აირის სტრატეგიული რეზერვი. როგორც გაზსაცავის პროექტის კოორდინატორი და კორპორაციის სტრატეგიული დაგეგმვისა და პროექტების დეპარტამენტის ხელმძღვანელი **თემურ გოჩიტაშვილი** ამბობს, **რეგიონის ყველა ქვეყანას, საქართველოს გარდა, აქვს ასეთი საცავი.**

„ჩვენ რეგიონში ასეთი 47 გაზსაცავია, რომლებიც განთავსებულია ირანში, აზერბაიჯანში, სომხეთში, რუსეთში, უკრაინაში, ბულგარეთში, რუმინეთსა და თურქეთში. საცავის მშენებლობის მიზანია სტრატეგიული რეზერვის შექმნა, რომელიც გამოყენებული იქნება მოსახლეობისა და ენერგეტიკული ობიექტებისათვის გაზმომარაგების უწვეტად მიწოდებისთვის ისეთ კრიტიკულ სიტუაციებში, როგორიცაა ინფრასტრუქტურული ავარია, პოლიტიკური საბოტაჟი ან კონფლიქტი“, – აცხადებს გოჩიტაშვილი.

მისი ინფორმაციით, სამგორის სამხრეთი თაღის საბადოს სასარგებლო მოცულობა 210-280 მილიონი კუბური მეტრია. რეზერვუარად შერჩეულია დაცლილი საბადოს ფორები და ნაპრალები, სადაც ამოღებამდე ნავთობი იყო. სწორედ აქ დამარაგების მიზნით დაიჭირხნება ბუნებრივი აირი.

გელა დანელია

ყველაზე მეტად ტყუიან

არჩევნების წინ...

ტრამპის ტრიუმფი: მხარდამჭერთა დემოგრაფიული პორტრეტი და გამარჯვების ძირითადი ფაქტორები

ამერიკამ 8 ნოემბერს დონალდ ტრამპი ქვეყნის ორმოცდამეხუთე პრეზიდენტად აირჩია. ის უკვე ღებულობს მილოცვებს, აყალიბებს თავის ადმინისტრაციას და ემზადება მსოფლიოში უძლიერესი ქვეყნის ხელმძღვანელობისათვის. ამავე დროს, არაპირდაპირი საარჩევნო სისტემა გულისხმობს აშშ-ში ყოველი ნაკიანი წლის პირველი ორშაბათის მომდევნო პირველ სამშაბათს მხოლოდ ამრჩევთა კოლეგიის წევრების არჩევას პრინციპით: ***შტატში გამარჯვებულ კანდიდატს მიაქვს შტატის ყველა ამრჩევის ხმა“.***

სწორედ ამ ამრჩევთა კოლეგიამ 19 დეკემბერს უნდა აირჩიოს პრეზიდენტი. ერთი-ორი გამონაკლისის გარდა, ამრჩევები ხმას კოლეგიის სხდომაზე სწორედ იმ კანდიდატს აძლევენ, რომელმაც მოცემულ შტატში ამომრჩევლის ყველაზე მეტი ხმა მიიღო. ამიტომ სრულებითაც არ არის აუცილებელი, რომ მთელი ამერიკის მასშტაბით გამარჯვებულ კანდიდატს ამომრჩეველთა უმრავლესობამ დაუჭიროს მხარი – მთავარია, როგორ გადანაწილდება ამრჩევების ხმები.

2016 წლის საპრეზიდენტო არჩევნებშიც დამარცხებულმა კანდიდატმა ჰილარი კლინტონმა დონალდ ტრამპს 1322.1 ათასი ხმით აჯობა (შესაბამისად: კლინტონი – 62.5 მლნ. ხმა, ტრამპი – 61.2 მილიონი ხმა). მიუხედავად ამისა, ტრამპს ამრჩევთა კოლეგიაში დაბეჭდებული აქვს 306 ამრჩევის ხმა (56.88%), მაშინ როდესაც კლინტონს – მხოლოდ 232 ხმა (43.12%). უკანასკნელად ასეთი ვითარება, როდესაც პრეზიდენტი გახდა პირი, რომელმაც ამომრჩეველთა ნაკლები ხმა მიიღო, იყო 2000 წელს, როდესაც ჯორჯ ბუშს უფრო მეტი ამრჩევი შეხვდა, ხოლო მის კონკურენტ ელ გორს ამომრჩევლის მეტი ხმა ერგო (543.9 ათასით მეტი ხმა). იმ წელს ფლორიდის შტატში მიღებული ხმებით, რომელიც ამრჩევთა კოლეგიაში 25 წევრის წარდგენას განსაზღვრავდა, ელ გორმა სულ რაღაც 537 ხმით წაგო და ეს ხმები დაეხმარა ჯორჯ ბუშს, მიეღწია 5-კაციანი უპირატესობისათვის ამრჩევთა კოლეგიაში (271/266-ზე) და ამის საფუძველზე – ამერიკის პრეზიდენტობისათვის.

(საერთოდ, აშშ პრეზიდენტად იმ კანდიდატის არჩევა, რომელმაც ხმების სხვაზე ნაკლები რაოდენობა მიიღო, უკვე მეხუთედ ხდება. – ასეთსავე სიტუაციას ჰქონდა ადგილი, 2016 წლის გარდა, როგორც უკვე ითქვა, 2000, აგრეთვე 1888, 1876 და 1824 წლებში).

პრეზიდენტის 2016 წლის არჩევნები მრავალმხრივ იყო საინტერესო, არაპრაგნოზირებადი და შეიძლება ითქვას, უნიკალურიც. – აქ მხედველობაში არ გვაქვს, რომ პრეზდენტად ხდება ადამიანი, რომელსაც მანამდე სახელმწიფო სამსახურში საქმიანობის არავითარი გამოცდილება არა აქვს, რომ ის არის მილიარდერი, რომ ქორწინებაში მესამედ იმყოფება, რომ მეუღლედ ყავს სხვა ქვეყანაში დაბადებული პირველი ლედი (ასეთი შემთხვევა არ დაფიქსირებულა 1824 წლის შემდეგ), რომ წინასაარჩევნო პერიოდში მას უპირისპირდებოდა არა მარტო დემოკრატიული პარტიის, არამედ საკუთარი, რესპუბლიკური პარტიის მმართველობის დიდი ნაწილი...

მთავარი ტრამპის გამარჯვებაში არის ის, **რომ ეს ფაქტობრივად იყო კონსერვატორულ ფასეულობებზე ორიენტირებული ამერიკის გამარჯვება ამ ქვეყნის ე.წ. ლიბერალურ ძალებზე.** ამიტომ შეიძლება თამამად ვუწოდოთ მას „კონსერვატორული რევოლუცია“ (ან „კონსერვატორული კონტრრევოლუცია“). არჩევნების შედეგებმა კარგად აჩვენა სერიოზული დაპირისპირება და პოლარიზაცია ამერიკული საზოგადოების შესაბამის (კონსერვატორულ და ე.წ. ლიბერალურ ფასეულობების მიმდევარ) ძალებს შორის. შეინიშნება წყალგამყოფი ზოლი და ამომრჩეველთა პოლარიზაცია ფასეულობების, აღმსარებლობის, რასისა და, გეოგრაფიული განფენილობის, შემოსავლების დონისა და რიგი სხვა ნიშნების მიხედვით.

მაგალითად, კონსერვატორული ამომრჩევლების 81 პროცენტმა მხარი დაუჭირა ტრამპს, მაშინ როდესაც ჰილარი კლინტონის მხარდამჭერი აღმოჩნდა ასეთი ფასეულობის მატარებელ ამომრჩეველთა მხოლოდ 15 პროცენტი. მეორე მხრივ, LGBT ამომრჩევლებიდან ჰილარი კლინტონის მხარდამჭერი აღმოჩნდა 78 პროცენტი, ხოლო ტრამპის მხარდამჭერი – 5.5-ჯერ ნაკლები (14%).

კონსერვატორობა, როგორც წესი, მაღალ კორელაციაშია ასაკთან. აშშ-ში, სადაც მედიანური ასაკი თითქმის 40 წელია, ეს მაჩვენებელი *დემოგრაფიული ინდიკატორიდან არჩევნების პერიოდში ფაქტობრივად ელექტორალურ ინდიკატორადაც იქცა.* – **40 წელზე უფრო ახალგაზრდათა უმრავლესობამ მხარი დაუჭირა კლინტონს, 40 წელზე უფროსი ასაკის მოსახლეობამ კი – ტრამპს.** აშშ-ში, საქართველოსაგან განსხვავებით, ასაკობრივი მატების კვალობაზე მატულობს შინამეურნეობათა შემოსავლებიც. 65 წელს გადაცილებულთა შორის სიღარიბის დონე საშუალო ამერიკულ დონეზე დაახლოებით 1.7-ჯერ დაბალია (სიღარიბის 15.1-პროცენტიანი დონის პირობებში 65 წელს გადაცილებულთა შორის აღნიშნული მაჩვენებელი მხოლოდ 9 პროცენტს შეადგენს). შესაბამისად, **იმ ოჯახების უმრავლესობამ, ვისი შემოსავალიც 50 ათას დოლარამდე იყო წელიწადში, მხარი დაუჭირა კლინტონს, ხოლო ვისაც 50 ათას დოლარზე მეტი შემოსავალი ჰქონდა – ტრამპს.** კლინტონის მხარდამჭერი უპირატესად აღმოჩნდნენ დიდ ქალაქებში მცხოვრებლები, ტრამპის მომხრეები კი – დიდი ქალაქების გარეუბნებისა და სოფელ ადგილებში მცხოვრებლები.

კიდევ უფრო კატეგორიული იყო ლიბერალურ ამომრჩეველთა დამოკიდებულება პრეზიდენტობის კანდიდატებისადმი. – ტრამპის მხარეს დადგა ლიბერალურ ამომრჩეველთა მხოლოდ 10 პროცენტი, მაშინ როდესაც კლინტონის მხარეს – 84 პროცენტი.

კატეგორიულობა არ აკლდა პარტიული ნიშნით დაყოფილ ამომრჩევლების მიერ მიცემულ ხმებს: **ტრამპს ხმა მისცა დემოკრატების 9 პროცენტმა** (მამაკაცების 10% და ქალების 8%), ხოლო **კლინტონს – რესპუბლიკელი ამომრჩევლების 7 პროცენტმა** (მამაკაცთა 6 პროცენტმა და ქალების 8 პროცენტმა). ამასთან, თუ მოწინააღმდეგე პარტიის კანდიდატის მხარდამჭერ ქალთა რაოდენობა ორივე პარტიას თანაბარი ჰყავდა (8-8 პროცენტი), **დემოკრატებს თითქმის 1.7-ჯერ მეტი „მოღალატე“ მამაკაცი აღმოაჩნდათ, ვიდრე რესპუბლიკელებს** (შესაბამისად, ტრამპს ხმა მისცა დემოკრატი მამაკაცების 10 პროცენტმა ხოლო ჰილარი კლინტონს – რესპუბლიკელი მამაკაცების მხოლოდ 6 პროცენტმა). მთლიანობაში, გენდერული ნიშნით **მამაკაცებმა უპირატესობა ტრამპს მიაკუთვნეს (53%), ხოლო ქალებმა – ჰილარი კლინტონს (54%).** ამასთან, გენდერული ნიშნით ოჯახური მდგომარეობის მიხედვით მხარდამჭერთა განსხვავება კიდევ უფრო საგრძნობი იყო. კლინტონს მხარი დაუჭირა დაქორწინებული მამაკაცების მხოლოდ 37 პროცენტმა, მაშინ როდესაც დონალდ ტრამპს – 58 პროცენტმა. სამაგიეროდ, დასაოჯახებელ ქალებში კლინტონი უდავო ფავორიტი აღმოჩნდა. – მას ხმა მისცეს ასეთი ამომრჩევლების 62 პროცენტმა, მაშინ როდესაც ტრამპს – მხოლოდ 33 პროცენტმა.

სერიოზული წყალგამყოფი ხაზი იქნა გავლებული ამომრჩეველთა შორის რასობრივი ნიშნის მიხედვითაც. – **ჰილარი კლინტონი აშკარა ფავორიტი იყო შავკანიანებში** (ამ რასობრივ ჯგუფში მის მხარდამჭერთა რაოდენობა 11-ჯერ აღემატებოდა ტრამპის მხარდამჭერთა რაოდენობას); აზიელებსა და ესპანურენოვან მოსახლეობაში ჰილარი კლინტონი ასევე გაცილებით პოპულარული აღმოჩნდა ტრამპთან შედარებით (2.2-ჯერ უფრო მეტი მხარდამჭერი თითოეულ ამ ჯგუფში). მაგრამ ეს ყოველივე არ აღმოჩნდა საკმარისი გამარჯვებისათვის – **ამერიკის მოსახლეობის 72.4 პროცენტი თეთრკანიანია და მისი წონა და დამოკიდებულება გადამწყვეტი აღმოჩნდა გამარჯვებისთვის. – დონალდ ტრამპს მხარი დაუჭირა ამერიკის თეთრკანიანი მოსახლეობის 58 პროცენტმა** (მამაკაცების 63 და ქალების 53 პროცენტმა). შედარებისთვის: ტრამპის მომხრე იყო შავკანიანი მოსახლეობის მხოლოდ 8 პროცენტი, მათ შორის მამაკაცების 13 პროცენტი და ქალების მხოლოდ 4 პროცენტი.

შესაბამისად, ქრისტიანული ფასეულობებისადმი ერთგული ამომრჩევლებიდან ტრამპს გაცილებით მეტი მხარდამჭერი აღმოაჩნდა: **პროტესტანტ ამომრჩევლებში ტრამპს 1.6-ჯერ, კათოლიკეებში – 1.2-ჯერ, ხოლო მორმონებში - 2.4-ჯერ მეტი მხარდამჭერი ყავდა, ვიდრე კლინტონს.** ეს საეკლესიო წირვაში მონაწილეობის სიხშირეშიც აისახა. – მათ შორის, ვინც წირვას ყოველკვირეულად ან უფრო ხშირად ესწრება, ტრამპის მომხრეთა რაოდენობა თითქმის 1.5-ჯერ აღემატება კლინტონის მომხრეთა რაოდენობას. „სამაგიეროდ“, მათგან, ვინც არასდროს ესწრება წირვას, კლინტონის მხარდამჭერთა რაოდენობა 2-ჯერ აღემატებოდა ტრამპის მომხრეთა რაოდენობას (შესაბამისად, 62% და 31%).

იუდეური რელიგიის მიმდევრებს შორის ჰილარი კლინტონს თითქმის 3-ჯერ მეტი მხარდამჭერი ყავს, ვიდრე დონალდ ტრამპს.

აშშ-ის თეთრკანიანი მოსახლეობა იმ პურიტანი პირველი თაობის ევროპელი კოლონისტების შთამომავალია, რომელმაც შექმნა და შეკრა სახელმწიფოდ ეს ქვეყანა. ბოლო ათწლეულებში გლობალიზაციის პროცესის პარალელურად მათი ინტერესები სულ უფრო უგულვებელყოფილი რჩებოდა. ამერიკელები მწარედ ხუმრობდნენ, რომ *ამ ქვეყანაში ყველაზე დაუცველი ადამიანია აქ დაბადებული თეთრკანიანი, შრომისუნარიანი ასაკის, ნორმალური ორიენტაციის მამაკაცი,* რადგანაც ყველა დანარჩენ კატეგორიას (ქალები, ბავშვები, განსხვავებული სექსუალური ორიენტაციის, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირები, იმიგრანტები და ა.შ.) აუცილებლად იცავს რაიმე ბილი ან კანონი. ამიტომაც იყო, რომ **თეთრკანიანი მამაკაცების ფაქტობრივად 2/3-მა მხარი ტრამპს დაუჭირა და ამით ფაქტობრივად, განსაზღვრა საპრეზიდენტო არჩევნების ბედი.**

ტრამპმა კრიტიკის მახვილი მიმართა მოქმედი საარჩევნო სისტემისადმი, რომლითაც ამერიკის 1.8 მილიონი გარდაცვლილი მოქალაქე და ამერიკაში მცხოვრები, მაგრამ ამ ქვეყნის არამოქალაქეთა 14 პროცენტი შეყვანილი აღმოჩნდა ამომრჩეველთა სიაში.

ტრამპის სოციალურ-ეკონომიკური პროგრამა გათვლილი იყო ელექტორატის იმ ნაწილზე, რომელიც ბოლო ათწლეულების მანძილზე გრძნობდა ბიუროკრატიისა და კორუფციის ძალმომრეობას და საკუთარი ეკონომიკური და სოციალური უფლებების იგნორირებას. კერძოდ, მან დაასახელა რამდენიმე მიმართულება ღონისძიებებისა, რომლებიც მიზნად ისახავენ კორუფციასთან და, რაც განსაკუთრებით ხაზგასასმელია, **ხელისუფლებისა და ძალაუფლების შერწყმის წინააღმდეგ ბრძოლას.**

ტრამპის პროგრამა გარკვეულწილად, ანტიგლობალიზმის ელემენტებსაც შეიცავს. – იგი აყენებს ჩრდილოამერიკული თავისუფალი სავაჭრო ზონის ხელშეკრულების ძირფესვიანი გადასანჯვის საკითხს, გეგმავს აშშ-ის გამოყვანას წყნარი ოკეანის პარტნიორობის ხელშეკრულებიდან, მექსიკასთან სასაზღვრო კედლის მშენებლობას, ჩინეთის სავალუტო სპეკულანტად გამოცხადებას... ყოველივე ეს ტრამპმა წარმოაჩინა ამერიკის ეკონომიკაზე და ამერიკის მოქალაქეებზე ზრუნვის ფაქტორებად. მაგრამ ამავე დროს, გადამწყვეტი წვლილი ტრამპის გამარჯვებაში შეიტანა მისმა დაპირებებმა საგადასახადო შეღავათების, რეალური სექტორის, მათ შორის, სათბობ-ენერგეტიკული სექტორის განვითარების, კაპიტალის რეპატრიაციის თაობაზე და სხვა.

კერძოდ, მისი სამოქმედო პროგრამა ითვალისწინებს ისეთ კომპონენტებს, როგორებიცაა კონსტიტუციური შესწორება, რომლითაც შეიზღუდება კონგრესში არჩევის რაოდენობა; თეთრი სახლისა და კონგრესის თანამშრომლების თანამდებობიდან გადადგომის შემდეგ 5 წლით ლობისტობის აკრძალვა, თეთრი სახლის თანამშრომლებისათვის სიცოცხლის ბოლომდე სხვა სახელმწიფოთა ლობირების აკრძალვა, უცხოელი ლობისტებისათვის ამერიკული საარჩევნო კამპანიებისათვის სახსრების შეგროვების აკრძალვა და ა.შ.

გლობალიზაციამ და ეკონომიკური საზღვრების გახსნამ სერიო-

დაბრუნებენ თუ არა „ცოფიან ანტიქართველს“ ცხინვალში?

სამაჩაბლო და თრუსოს ხეობა ახალი ძარცვა-გლეჯის მოლოდინში

„სამხრეთ ოსეთის სახალხო პარტიის“ ლიდერმა ტაირა გაგლოევამ (გაგლოითი) განაცხადა, რომ მათი „რესპუბლიკის“ ყოფილი პრეზიდენტი ედუარდ კოკოითი აპირებს, მონაწილეობა მიიღოს საპრეზიდენტო არჩევნებში და კვლავ ჩაუდგეს სათავეში სეპარატისტულ „ფსევდოსახელმწიფოს“.

თვით კოკოითი ჯერჯერობით დუმს. ცხადია, გაგლოევა ამ განცხადებას არ გააკეთებდა მასთან შეთანხმების გარეშე; ანუ კოკოითი „ნიადაგს სინჯავს“.

რეაქცია მოსკოვიდან მკაცრი აღმოჩნდა: პუტინის ადმინისტრაციაში აფხაზეთისა და „სამხრეთ ოსეთის“ „კურატორის“, ვლადისლავ სურკოვის ერთ-ერთმა თანაშემწემ განაცხადა, რომ თუ კოკოითი კვლავ გახდება „სამხრეთ ოსეთის პრეზიდენტი“, მაშინ მოსკოვი ამ რესპუბლიკის დაფინანსებას შეწყვეტს, რაც ცხინვალისთვის სრული კატასტროფა იქნება, რადგან განსხვავებით თუნდაც იმავე აფხაზეთისგან, ეს ტერიტორია მთლიანად, — 100 კი არა 1000%-ით, — რუსეთზეა დამოკიდებული.

არასდროს, არც ერთი სეპარატისტული წარმონაქმნის მიმართ კრემლს ასეთი განცხადება არ გაუკეთებია. მაშ რაშია საქმე? კოკოითი ხომ მათი ერთგული „ქოფაკი“ იყო 2008 წელს, როდესაც სწორედ მისი მეშვეობით მოახერხეს რუსულმა სპეცსამსახურებმა და რუსულმა არმიამ შეიარაღებული კონფლიქტის პროვოცირება, რათა შემდეგ, „რუსი მშვიდობისმყოფლებისა და რუსეთის მოქალაქეთა დაცვის“ საბაბით, საქართველოს ტერიტორიათა ოკუპაცია და ჩვენი ქვეყნის საჯარო დასჯა განეხორციელებინათ — იმავდროულად, მათთვის საჭირო პრეცედენტის შექმნით, რაც ახლა წარმატებით გამოიყენება უკრაინაში?!

თუ ასეა, რატომაა ესოდენ მიუღებელი კოკოითი მოსკოვისთვის? შეგახსენებთ, რომ სწორედ მოსკოვმა დაბლოკა მისი მცდელობა (2011 წელს), შეეცვალა „სამხრეთ ოსეთის“ კონსტიტუცია და მესამე ვადით დარჩენილიყო პრეზიდენტად.

მაგრამ რატომ? რაშია საქმე? ამ კითხვებზე პასუხის გასაცემად, თვალი უნდა გადავავლოთ უახლეს ისტორიას.

* * *

ედუარდ კოკოითი აქტიურად მონაწილეობდა საომარ მოქმედებებში „პირველი ომის“ დროს — 1991-1992 წლებში. მას ფანატიკურად სძულს საქართველო და ყოველივე ქართული. იგი არ ყოფილა უბრალოდ სეპარატიზმის იდეოლოგი. უფრო ზუსტად, არანაირი „იდეოლოგი“ არ ყოფილა, რაკი საამისოდ, ელემენტარულად, მას ინტელექტუალური შესაძლებლობები არ ყოფნიდა — რაიმეს „იდეოლოგი“ ყოფილიყო.

მაგრამ შეურიგებელი მებრძოლი და ანტიქართველი ფანატიკოსი რომ იყო — ცხადია.

ცხინვალის პოლიტიკურ ასპარეზზე იგი გამოჩნდა 2001 წელს — მას შემდეგ, რაც ედუარდ შევარდნაძემ გააკეთა ცნობილი განცხადება „ნატოს“ კარზე დაკაკუნების“ თაობაზე. ვლადიკავკაზმა (ანუ ჩრდილო ოსეთის ელიტამ, რომელსაც მუდამ ჰქონდა პრეტენზია საქართველოს ამ ტერიტორიაზე) მოსკოვი დაარწმუნა, რომ იმ ვითარებაში, როდესაც თბილისმა საბოლოოდ აიღო გეზი „ნატოსკენ“, „სამხრეთ ოსეთი“ და ქართულ-ოსური კონფლიქტი იქნებოდა ის ბერკეტი, რომელიც ჩვენი ქვეყნის პროდასავლურ სწრაფვას შეაფერხებდა და, შესაძლოა, საერთოდაც შეეჩერებინა.

ამიტომ მოსკოვმა კოკოითს დაუჭირა მხარი 2001 წლის მოვლენების დროს, — ნაცვლად შედარებით ზომიერი ლუდვიგ ჩიბიროვისა, რომელიც მანამ ჰყავდათ ცხინვალში, სანამ ოფიციალური თბილისი ასე ღიად არ აცხადებდა „ნატოში“ გაწევრიანების სურვილს.

ჩიბიროვის მთავრობის პრემიერმა და თავდაცვის მინისტრმა ედუარდ სანაკოევმა (ახლა თბილისში ცხოვრობს) ერთ-ერთ ინტერვიუში გაიხსენა: „2001 წელს, როცა კოკოითი ვლადიკავკაზიდან ჩამოვიდა, შემხვდა და მითხრა: „საქართველოსთან ომი იქნება, ხეობებს ქართველებისგან გავწმენდთ და საქართველოსგან საბოლოოდ მოვიგლიჯებითო“.

ანუ, კონკრეტული პროგრამით და გეგმით გამოაგზავნეს მოსკოვიდან. ეს პროგრამა მან, საბოლოოდ, 2008 წელს გან(უ)ხორციელა რუსებს: თუმცა პარალელურად ოსი სეპარატისტების საუკუნოვანი ოცნებებიც აღასრულა: მათ მიერ არაკონტროლირებადი ახალგორის რაიონი დაიპყრო, ცხინვალის გარშემო ხეობები ქართველებისგან „გაწმინდა“ და ა.შ.

* * *

ოღონდ, ამის შემდეგ, დაახლოებით 2009 წელს, ედუარდ კოკოითიმ გააკეთა განცხადება, რომელიც მოსკოვში (მაშინ) ძალიან არ მოეწონათ: „სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკამ უნდა დაიბრუნოს თრუსოს ხეობა, რომელიც შემთხვევით აღმოჩნდა საქართველოს შემადგენლობაშიო“. კიდევ უფრო მეტი: მან მიანიშნა, რომ თვით ომის დროსაც და ომის შემდეგაც, მზად იყო ყაზბეგის რაიონიც კი, ანუ ისტორიული „ხევი“ ჩამოეშორებინა საქართველოსგან, ესე იგი „საქართველოს სამხედრო გზაზე“ დაემყარებინა კონტროლი და სტეფანწმინდაც წაეღო.

მოსკოვისთვის იმ პერიოდში ეს გიჟური პროექტი კატეგორიულად მიუღებელი აღმოჩნდა. იმიტომ, რომ სარკოზი-მედვედევის შეთანხმებისა და 2008 წლის 26 აგვისტოს საქართველოს ტერიტორიათა „დამოუკიდებლობის“ აღიარების შემდეგ, ჩამოყალიბდა გარკვეული „სტატუს-კვო“: დასავლეთმა (პირველ რიგში, საბედნიეროდ, ძალიან ამბიციურმა სარკოზიმ) მოსკოვს მიანიშნა, რომ ამ „ხაზის“ გადასვლას იგი მას უკვე არ აპატიებდა და მაშინ სანქციებს მართლა შემოიღებდა: არადა, ყველაფერზე, რასაც ეს „ცხინვალელი ცოფიანი“ საქართველოს წინააღმდეგ დამატებით მოიმოქმედებდა, მოსკოვი აგებდა პასუხს დასავლეთის თვალში და არა თვით კოკოითი, რომელსაც ჭკუა ან პასუხისმგებლობა არავისგან მოეკითხებოდა.

სწორედ ამიტომ უარყო მაშინ მოსკოვმა კოკოითი: მისი „კურატორები“ მიხვდნენ, რომ იგი მეტისმეტად არაპროგნოზირებადია და შეუძლია, დააყენოს მოსკოვი ფაქტის წინაშე, როდესაც რუსეთი იძულებული გახდება ან აჰყვეს კოკოითს მის ავანტიურაში საქართველოს ახალ-ახალ ტერიტორიათა დაპყრობის პროცესში („ოსურ თრიალეთზეც“ იყო ლაპარაკი), ან პირდაპირ, ღიად დაუპირისპირდეს „სამხრეთ ოსეთს“, რაც აგრეთვე არასასურველი იყო კრემლისთვის. მით უმეტეს იმ პირობებში, თუ თრუსოს ხეობისა და ყაზბეგის (საქართველოს სამხედრო გზის) გარშემო საბრძოლო მოქმედებები განახლდებოდა. ყველაფერ სხვას რომ თავი დავანებოთ, ეს ხომ, როგორც მინიმუმ, სომხეთის სრულ და სამუდამო ბლოკირებას გამოიწვევდა?

* * *

დღეს „ცოფიანი ანტიქართველი“ ამ მინიშნებებს იმისთვის აკეთებს ხელახლა, რათა მოსკოვს ჰკითხოს: რადგან საქართველო აგრძელებს „ნატოსკენ“ და ამერიკისკენ სვლას, ხოლო ამერიკაში პრეზიდენტად ტრამპი აირჩიეს, რომელიც პოსტსაბჭოურ სივრცეზე ხელის ჩაქნევას აპირებს, ხომ არ დადგა დრო, კიდევ სხვა „საუკუნოვანი ოცნებებიც“ აუსრულოთ ოს ხალხს და ხელახლა დასაჯოთ საქართველო?

მაგრამ რაკი ტრამპის მომავალი პოლიტიკა ჯერ კიდევ გაურკვეველია, ხოლო მისი წინასაარჩევნო რიტორიკა, შესაძლოა (ვიმედოვნოთ), განსხვავებულიც აღმოჩნდეს იმისგან, რასაც არჩევამდე აჟღერებდა; სანამ პუტინ-ტრამპის შეხვედრა არ გამართულა, მოსკოვში, როგორც ჩანს, მიიჩნიეს, რომ კოკოითის ისტორიული „სკივრიდან“ ამოთრევა მაინც ნაადრევია. ბოლოს და ბოლოს, იგი მეტისმეტად „ცოფიანი“ და უკონტროლოა, ხოლო შესაბამის ფიგურას, ვინც „ახალი გეგმის“ მიხედვით იმოქმედებს, ისედაც მრავლად იპოვიან ქართველოფობიით გაჟღენთილ ოსურ ელიტაში.

* * *

სხვათა შორის, აქვე უნდა ითქვას, რომ კოკოითი ხსენებული ელიტის იმ ნაწილსაც უპირისპირდება, ვისაც ჩრდილოეთ და სამხრეთ ოსეთის გაერთიანება სურს რუსეთის ფედერაციის შემადგენლობაში სახელწოდებით „რესპუბლიკა ალანია“. კოკოითის ალტერნატიული წინადადება კი შემდეგია: „ჯერ „დამოუკიდებელი რესპუბლიკის“ სტატუსით „თრუსოს ხეობა“, აგრეთვე ყაზბეგი წავგლიჯოთ საქართველოს რუსეთის ფარული მხარდაჭერით და შემდეგ ჩავატაროთ რეფერენდუმი, — „ერთიანი და განუყოფელი ალანიის“ რუსეთის ფედერაციის შემადგენლობაში შესვლის შესახებო“.

ამ მხრივ ძალიან მნიშვნელოვანი ნიუანსი იქნება, დართავს თუ არა მოსკოვი სეპარატისტთა ამჟამინდელ ლიდერს ლეონიდ თიბილოვს ნებას, ჩაატაროს, მომავალ ზაფხულს, რეფერენდუმი „სამხრეთ“ და „ჩრდილოეთ“ ოსეთის დაუყოვნებელი გაერთიანების შესახებ რუსეთის ფედერაციის შემადგენლობაში. თუ ამგვარი რეფერენდუმი რეალურად ჩატარდა (თიბილოვი ბევრად მართული ფიგურაა ვიდრე კოკოითი), ხოლო მოსკოვმა „ერთიანი ალანიის“ ინკორპორირების შესახებ შესაბამისი გადაწყვეტილება მიიღო ყირიმის ანალოგიით, მაშინ ეს იმის მანიშნებელი იქნება, რომ მოსკოვმა თრუსოს ხეობაზე და ყაზბეგზე ოსთა პრეტენზია საბოლოოდ უარყო. სამაგიეროდ, მზადაა, ყოფილი „სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი“ უშუალოდ მიიერთოს იმ საზღვრებში, რომელიც სსრკ დროს იყო დადგენილი.

ნებისმიერ შემთხვევაში, კოკოითის განცხადება ბევრად საყურადღებო, საშიში და ნიშანდობლივია, ვიდრე საქართველოს „ექსპერტულ თანამეგობრობას“ და პოლიტიკოსებს ეჩვენებათ, როგორც ჩანს — თუ ამ პროვოკაციის სრული „იგნორირითა“ და გულგრილობა-შეუმჩნევლობით ვიმსჯელებთ.

ნიკა იმნაიშვილი

ზული პრობლემები შეუქმნა ამერიკის ეკონომიკას. ბევრი წარმოება გატანილ იქნა ამერიკის საზღვრებს გარეთ, მრავალი ამერიკის ბაზრებზე რეალიზებული სამომხმარებლო საქონლის სულ უფრო მზარდი ნაწილი უცხოური წარმომავლობისაა. ასეთი პოლიტიკის ყველაზე თვალსაჩინო მაგალითია დეტროიტი — ერთ დროს ამერიკის საავტომობილო ინდუსტრიის ცენტრი, ინდუსტრიალიზაციის სიმბოლო, დღეს უკვე სამჯერ შემცირებული მოსახლეობით, ქალაქი-ბანკროტი, მრავალი კრიმინალური ჯგუფის თავშესაფარი... ასეთ პირობებში **ტრამპის პროგრამა გარკვეულწილად, ანტიგლობალიზმის ელემენტებსაც შეიცავს**. — იგი აყენებს ჩრდილოამერიკული თავისუფალი სავაჭრო ზონის ხელშეკრულების ძირფესვიანი გადასანჯვის საკითხს, გეგმავს აშშ-ის გამოყვანას წყნარი ოკეანის პარტნიორობის ხელშეკრულებიდან, მექსიკასთან სასაზღვრო კედლის მშენებლობას, ჩინეთის სავალუტო სპეკულანტად გამოცხადებას... ყოველივე ეს ტრამპმა წარმოაჩინა ამერიკის ეკონომიკაზე და ამერიკის მოქალაქეებზე ზრუნვის ფაქტორებად. მაგრამ ამავე დროს, გადამწყვეტი წვლილი ტრამპის გამარჯვებაში შეიტანა მისმა დაპირებებმა საგადასახადო შეღავათების, რეალური სექტორის, მათ შორის, სათბობ-ენერგეტიკული სექტორის განვითარების, კაპიტალის რეპატრიაციის თაობაზე და სხვა.

ტრამპის პროგრამა ითვალისწინებს საშუალო ოჯახის გადასახადების 35-პროცენტიან შემცირებას, კომერციულ საქმიანობაზე გადასახადის 35-დან 15 პროცენტამდე კლებას, აშშ-ში უცხოეთიდან ამერიკული კაპიტალის რეპატრირების შემთხვევაში 10-პროცენტიანი გადასახადის გაუქმებას, ინფრასტრუქტურული და ენერგეტიკული პროექტების ამოქმედებას, მათ შორის, ყოველგვარი შეზღუდვების მოხსნას ამერიკული ენერგეტიკული რეზერვების მოძიებისა და დამუშავებისათვის, მაღალი სატარიფო ბარიერების შემოღებას ქვეყნიდან წარმოების გატანაზე, სამუშაო ადგილების შეთავაზებას, პირველ რიგში, ამერიკის მოქალაქეებისათვის, ქვეყნიდან არალეგალური იმიგრანტების გაძევებას და სხვ.

ყოველივე ეს, წინადადებათა პაკეტი მიმართული იყო სწორედ თეთრკანიანი მოსახლეობისადმი, რომელმაც ყველაზე მეტად იწვნია წარმოების ქვეყნის გარეთ გატანითა და უმუშევრობით გამოწვეული დისკომფორტი. ასეთი ადამიანების განწყობილებას განსაკუთრებით მოესალბუნა ტრამპის დაპირება ქვეყანაში **უახლოესი 10 წლის მანძილზე 25 მილიონი დამატებითი სამუშაო ადგილის შექმნის** თაობაზე. ფაქტობრივად, ტრამპმა კარგად აუღო ალღო ამერიკელი მოსახლეობის დიდი ნაწილის განწყობილებას და წარმატებით გამოიყენა იგი თავისი გამარჯვებისათვის.

მართალია, ტრამპის წინასაარჩევნო დაპირებებიდან ყველაფერი „ერთი ერთზე“ არ უნდა იქნას მიღებული. ცნობილი თეზა, რომ *„ყველაზე მეტად ტყუიან არჩევნების წინ, ომის დროსა და ნადირობის შემდეგ“*, დღემდე არავის უარყვია. თანაც, ერთია, წინასაარჩევნო ბრძოლებში, კონკურენტის დამარცხებისა და საკუთარი გამარჯვებისათვის აჟიტირებული კანდიდატის გაკეთებული განცხადება და მეორეა ხელისუფლებით აღჭურვილი სახელმწიფოს ხელმძღვანელის მოქმედების ალგორითმი. ამიტომ უნდა დაველოდოთ. — არაორდინალური პრეზიდენტი თავის სამოქმედო პროგრამის განხორციელებას მხოლოდ 2017 წლის 20 იანვარს დაიწყებს...

იოსებ არჩვაძე

ქართულს ქართველებთან ურთიერთობით ვისწავლით...

ხელისუფლების მიერ დაფინანსებული ქართული ენის სწავლების არც ერთი პროგრამა არ ხორციელდება!

საქართველოს მოსახლეობის 13%-ისთვის ქართული მშობლიური ენა არ არის და მისი სრულფასოვნად ცოდნა კვლავ სერიოზული პრობლემაა. არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ ჩატარებული კვლევები სახელმწიფო პროგრამების არაეფექტიანობაზე მიუთითებს. ვინ, როგორ და რისთვის სწავლობს ქართულ ენას ეთნიკური უმცირესობებით დასახლებულ რეგიონებში?

ზარხანუმ კულმამედოვამ ქართული ენა ბაზარში ისწავლა, მისმა ერთერთმა შვილიშვილმა კი — ცეკვის გაკვეთილებზე. მიუხედავად იმისა, რომ გარდაბანსა და მიმდებარე სოფლებში არსებულ ქართულ, აზერბაიჯანულ და რუსულ სკოლებში ქართული ენა ზოგან როგორც მეორე, ზოგან კი როგორც ძირითადი ენა, ისე ისწავლება, ზარხანუმის კიდევ ერთი შვილიშვილი რაულ იუსუბოვი ქართულად მაინც ვერ ლაპარაკობს. ამ პრობლემას ის ასე ხსნის:

„თუკი სკოლებში უფრო მეტი ქართველი ისწავლის, მეც უფრო უკეთ მეცოდინება ქართული... ასეთი მოსწავლეების რაოდენობა ჩვენთან მცირეა“...

რაულის ბებიის ზარხანუმის თქმით, შვილიშვილი ხშირად სთხოვს ფულს იმისათვის, რომ თბილისში ჩასვლა და ქართველ თანატოლებთან მეტი დროის გატარება შეძლოს:

„ბებია, მომეცი 50 ლარი, თბილისში უნდა წავიდე...იქ კარგი დასასვენებელი პარკებია ...კარგ ბავშვებს ვხვდები... ვეუბნები: „50 ლარი თითქმის ერთი ტომარა ფქვილი ღირს“... ის მპასუხობს, რომ ფქვილი სულაც არ სჭირდება...მას ქართველები უყვარს... რა თქმა უნდა, გვიყვარს ქართველები...როგორ შეიძლება ქართველი არ გიყვარდეს? ვისაც ქართველი არ უყვარს, ის ადამიანი არ არის“...

გარდაბნელი აზერბაიჯანელების ამგვარი განწყობა თითქმის ყველა სოფელში გვხვდება. მათ შორის არის ქესალო, რომელიც საქართველო-აზერბაიჯანის საზღვრიდან 9 კილომეტრში მდებარეობს. სოფლის ძირითადი მოსახლეობა აზერბაიჯანულია. სოფლის ცენტრში შეკრებილი უხუცესები გვეუბნებიან:

„საქართველოში ვცხოვრობთ, მაგრამ ქართული არც ჩვენ ვიცით... ჩვენ მოხუცები ვართ, ჩვენთვის უკვე დაგვიანებულია... რა თქმა უნდა, ახალგაზრდებმა უნდა ისწავლონ. სკოლაში უკვე ასწავლიან ქართულს...გავა დრო და ისინი ჩვენზე უკეთ შეძლებენ ქართულად საუბარს“.

ქესალოს საჯარო სკოლაში 1020 მოსწავლეა. სკოლას ქართული სექტორიც აქვს და აზერბაიჯანულიც, თუმცა მოსწავლეთა 90 %-მა აზერბაიჯანული აირჩია. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ინიციატივით, ქართული ენის გაკვეთილები მათთვის ყოველდღე ტარდება. წერა-კითხვისა და მეტყველების უნარებს მათ აფაიათ ალიევა ასწავლის:

„ვცდილობთ, გაკვეთილი უფრო საინტერესო და განსხვავებული იყოს... გაკვეთილები აქტივობებით უნდა იყოს სავსე, რათა უფრო ადვილად აღქმადი იყოს...ენის სწავლება მარტივი არ არის, ეს ჩემი პირადი გამოცდილებიდან ვიცი. მაგალითად, 12 წელიც არ იყო საკმარისი ჩემთვის... სკოლის დამთავრების შემდეგ ვიცოდი მხოლოდ „გამარჯობა“, „ნახვამდის“...მერე ჩავაბარე თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში... მოსამზადებელი კურსი გავიარე, ქართული ენის ერთწლიანი პროგრამა. მისი დამთავრების შემდეგაც ჩემი ქართული არ იყო ისეთი, როგორიც საჭიროა. პირველი კურსიდან... ქართველებთან, სომხებთან და სხვა სტუდენტებთან ურთიერთობით დაიწყო ჩემი ქართულის ისტორია“.

> **ქესალოს გარდა, საქართველოში 300 არაქართულენოვანი სკოლაა. „ქართული ენა მომავალი წარმატებისთვის“ — ასე ჰქვია პროგრამას, რომელიც საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ 2011 წელს დაიწყო. პროგრამის მიხედვით, ქართულის მასწავლებლები საქართველოს სამ რეგიონში ჩადიან — ქვემო ქართლში, სამცხე-ჯავახეთსა და კახეთში. ამ ინიციატივის აზრი ის არის, რომ მოსწავლემ, რომელიც სკოლაში ისწავლის ქართულს, შემდგომ სწავლის გაგრძელება თავისუფლად შეძლოს ქართულ ენაზე.**

მაგრამ „სამოქალაქო ინტეგრაციისა და ეროვნებათშორისი ურთიერთობების ცენტრის“ მიერ 2016 წელს ჩატარებული კვლევა დამაიმედებელ სურათს არ იძლევა. იმ არაქართულენოვანი სტუდენტების გამოკითხვამ, რომლებმაც უმაღლეს სასწავლებლებში ჩაბარებამდე ქართულ ენაში მომზადების ერთწლიანი კურსი გაიარეს, აჩვენა, რომ გამოკითხულთა დიდი ნაწილი უმაღლეს სასწავლებელში სწავლას აღარ აგრძელებს. მაგალითად, 2010 წელს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ჩარიცხული 156 სტუდენტიდან მხოლოდ 23-მა შეძლო საბაკალავრო პროგრამის დასრულება. ზოგადი განათლების სისტემაში არსებულ ხარვეზებზე „სამოქალაქო ინტეგრაციისა და ეროვნებათშორისი ურთიერთობების ცენტრის“ ხელმძღვანელმა შალვა ტაბატაძემაც ილაპარაკა:

„საატესტატო გამოცდების შედეგებით თუ ვიმსჯელებთ, რომლითაც ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელი სტუდენტები უმაღლეს სასწავლებლებში არ მოდიან, გვაჩვენებს, რომ ზოგადი განათლების სისტემაში არაფერი შეცვლილა. პრობლემა არის ის, რომ, კვოტირების სისტემის დასრულების ნაცვლად, იძულებულები ვიქნებით გავაგრძელოთ ინტეგრაციის პროცესი, თუმცა ზოგადი განათლების საფეხურზე ყველაფერი ისე დავტოვოთ, როგორც არის. ამიტომ მნიშვნელოვანია, რომ ის მიზანი, რაც იყო დასახული ზოგადი განათლების სისტემაში ცვლილებების განხორციელების მიმართულებით, შესრულდეს, რასაც ჯერჯერობით განათლების სამინისტრო არ აკეთებს“.

კიდევ ერთი ბარიერი, რომლის შესახებაც პრეზენტაციაზე ისაუბრეს, ის არის, რომ ყველა ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენელი სტუდენტი ერთნაირად არ ფლობს ქართულ ენას. დარეჯან კუხიანიძე, რომელიც სამედიცინო უნივერსიტეტში ჩაბარების მსურველებს ქართულ ენაში ამზადებს, ამბობს, რომ ყველა სტუდენტს ერთნაირად არ უნდა მიუდგე:

„სამედიცინო სფერო ისეთი რთულია, ქართველ ბავშვებსაც უჭირთ სწავლა. წარმოიდგინეთ, რომელი სპეციალობაც არ უნდა აირჩიოს სტუდენტმა, მას უწევს ურთულესი საგნების შესწავლა: პათფიზიოლოგია, ანატომია და მრავალი სხვა. წარმოიდგინეთ რამდენი სამედიცინო ტერმინია და როგორი განსხვავებული სპეციფიკა, ამიტომ ჩვენი სწავლება განსაკუთრებულიც არის“...

ქართული ენის პედაგოგები ხაზს უსვამენ, ასევე, კლასგარეშე კომუნიკაციის მნიშვნელობას, რომელიც არამხოლოდ ლექციებისა და სემინარების დროს უნდა არსებობდეს. ამ აზრს იზიარებს ქესალოს საჯარო სკოლის ისტორიის მასწავლებელი ირმა მაღრაძეც.

„იმის გამო, რომ ამ ბავშვებს არ უწევთ ურთიერთობა ქართველებთან, მხოლოდ გაკვეთილებზე მიღებული ცოდნით ძნელია მაღალ შედეგებზე ლაპარაკი. თუნდაც ის, რომ სახლში მაინც შეეცადონ მშობლები, რომ ჩართონ ტელევიზორი ქართულ არხებზე, ის მაინც რომ შეძლონ, რომ, სკოლის გარდა, ქართული სხვა გარემოშიც ისმინებოდეს, ბევრად უკეთესად იქნებოდა საქმე“.

უშუალო ურთიერთობის მაგალითია ახალგაზრდული ბანაკები. ამ საქმეს გარდაბნის რაიონში ორგანიზაცია „ახალგაზრდული ცხოვრება — საქართველო“ უდგას სათავეში. მათი ინიციატივით, საქართველოს სხვადასხვა ქალაქში ყოველ წელს ეწყობა ახალგაზრდული ბანაკები, რომლებიც საქართველოში მცხოვრები სხვადასხვა ეთნოსის წარმომადგენლებს აერთიანებს.

„ბავშვები თვითონ დაინტერესებულები არიან, რომ ნახონ როგორ ცხოვრობენ სტუდენტები თბილისში. ეს მათთვის მოტივაცია ხდება იმისათვის, რომ მათაც ჩააბარონ თბილისის უნივერსიტეტებში...ჩვენთან ყოველთვის არიან ბავშვები, რომლებიც პირველად გადიან რეგიონიდან. საზღვარგარეთ წასვლაზე აღარ მაქვს საუბარი, რადგან ისინი ხშირად საქართველოს სხვა რეგიონებსაც არ იცნობენ, ამიტომ მათთვის ძალიან საინტერესოა, რომ ნახონ ქუთაისი, თბილისი და ბათუმი“, — ამბობს რუსტამ მაილოვი, არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენელი.

ყველა ცდილობს, მაგრამ ამ საქმეში უმოქმედოა ადგილობრივი მუნიციპალიტეტი. ეთნიკურად ერთ-ერთი ყველაზე ჭრელი რაიონის გამგეობა სახელმწიფო ენის სწავლებასთან დაკავშირებული არც ერთი ღონისძიების ინიციატორი არ ყოფილა, რასაც ადასტურებს ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის წარმომადგენელი ანი ჟღენტი:

> **„სამწუხაროდ, ამ ეტაპზე ადგილობრივი ხელისუფლების მიერ დაფინანსებული არც ერთი პროგრამა არ ხორციელდება“...**
>
> **რაულ აბდულაევი მეთორმეტე კლასშია. 2017 წლიდან ის სწავლის გაგრძელებას თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, იურიდიულ ფაკულტეტზე აპირებს. სოფელ ქესალოს დამამთავრებელ კლასში ის ერთადერთია, რომელიც ქართულ ენაზე საუბარს ახერხებს. კითხვაზე კი, საჭიროა თუ არა ქართული ენის ცოდნა, იგი ასე პასუხობს:**
>
> **„ჩვენ აქ ვაპირებთ ცხოვრებას...აქ დავრჩებით სიცოცხლის ბოლომდე და აუცილებლად უნდა ვიცოდე ჩვენი სახელმწიფო ენა, რომ ქართველებთან კარგი ურთიერთობა მქონდეს...“**

სალომე აფხაზიშვილი

ქვეყანაში ცხოველთა იდენტიფიცირება-რეგისტრაციის მასშტაბური პროექტი იწყება

ევროინტეგრაციის გზაზე მყოფი ქვეყნისთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მწარმოებლებმა შეძლონ აუცილებელი ევროპული სტანდარტების დაკმაყოფილება. ქვეყანაში სურსათის უვნებლობის, ვეტერინარული და ფიტოსანიტარიული კეთილსაიმედობის უზრუნველყოფა DCFTA-ით გათვალისწინებული მნიშვნელოვანი მოთხოვნებია. ცხოველთა ჯანმრთელობის დაცვა სურსათის უვნებლობის უზრუნველყოფის ერთ-ერთი აუცილებელი წინაპირობაა.

სწორედ ამიტომ საინტერესოა ახალი ოთხწლიანი პროექტი, რომელსაც საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო, გაეროს სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაციის (FAO) მხარდაჭერით, სურსათის უვნებლობისა და ცხოველთა ჯანმრთელობის სტანდარტების გასაუმჯობესებლად განახორციელებს.

პროექტი საქართველოში ევროკავშირის სტანდარტების შესაბამისი ცხოველთა იდენტიფიკაციის, რეგისტრაციისა და მიკვლევადობის ეროვნული სისტემის (NAITS) ჩამოყალიბებას უზრუნველყოფს.

პროექტის ღირებულება 5 მლნ აშშ დოლარს შეადგენს და ოთხ ძირითად მიმართულებას მოიცავს: მსხვილფეხა და წვრილფეხა პირუტყვის იდენტიფიკაცია მთელი ქვეყნის მასშტაბით (ყველა პირუტყვისთვის საიდენტიფიკაციო კოდის მინიჭება); იდენტიფიცირებულ ცხოველებზე გაიცემა შესაბამისი დოკუმენტი, პასპორტი, სადაც მითითებული იქნება ცხოველის საკუთრების და გადაადგილების ისტორია და აღნიშნული იქნება ცხოველის საიდენტიფიკაციო კოდი; უნიკალური, საიდენტიფიკაციო კოდი მიენიჭებათ მეურნეობებს, ფერმებს, ბაზრობებს, სასაკლაოებს და სასაზღვრო საინფორმაციო პოსტებს; შეიქმნება ერთიანი ელექტრონული მონაცემების ბაზა, სადაც მეცხოველეობის ფერმებისა და ცხოველების შესახებ მთელი ინფორმაცია მოიყრის თავს.

პროექტის ფარგლებში, ყველა დაინტერესებული მხარე — სასაკლაოები, სასაზღვრო ინსპექციის პოსტები და ბაზრები, რომლებიც სისტემის მომხმარებლები არიან, გაივლიან შესაბამის ტრენინგებს, ახალ ელექტრონულ სისტემასთან ადაპტირების და მისი სათანადო გამოყენების მიზნით.

პროექტი შვეიცარიის განვითარებისა და თანამშრომლობის სააგენტოს (SDC) დაფინანსებით და ავსტრიის განვითარების სააგენტოს (ADA) თანადაფინანსებით ხორციელდება.

პროექტს გაეროს სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაცია (FAO) საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს სურსათის ეროვნულ სააგენტოსთან (NFA) მჭიდრო თანამშრომლობით განახორციელებს.

დონორები და ხელისუფლება იმედოვნებენ, რომ ცხოველების იდენტიფიცირება და რეგისტრირება ხელს შეუწყობს მეცხოველეობის დარგში ისეთი ტიპის აქტივობებს, როგორიცაა ბაზრებზე გაუმჯობესებული წვდომა, პროდუქტიულობის მაჩვენებლების აღრიცხვა, ცხოველების მოშენება, ქურდობის პრევენცია და ცხოველთა ღირებულების შესახებ ცნობიერების ამაღლება, ხოლო სათანადო მართვის პირობებში — ცხოველთა პროდუქტიულობის გაუმჯობესებაც.

ნინო ევგენიძე

60

ნათლის მხედარმა იცის, რომ მრძოლა უამიუამ წყდება.

და იგი არცრა ძალისხმევვას არ მიმართავს, რომ უსათუოდ განაახლოს მტერთან შერკინება; მან იცის, რომ საჭიროა მოთმინების მოკრება და შემოსწრებული ძალის მოლოდინება. როს მრძოლის ველზე სიწყნარე ჩამოწვება ხოლმე, ნათლის მხედარს თავისი გულის ძგერა ესმის.

ესმის, რომ დაძაბულია.

იცის, რომ შიშატანილია.

ნათლის მხედარი თავისი ცხოვრების წონასწორობის მიღწევას ცდილობს – საჭიროა, რომ მახვილის პირი გაწამწამებული იყოს, გული – კმაყოფილი, ხოლო რწმენა სულს უნდა აღვივებდეს. მან იცის, რომ ეს არანაკლებ მნიშვნელოვანია, ვიდრე მოქმედება.

მუდამ რაღაცას ისაკლისებს. და იმ წუთებს, როცა დრო თავის რბოლას აჩქარებს, ნათლის მხედარი იმისთვის იყენებს, რათა დანაკლისი შეავსოს და უკეთესად აღიჭურვოს მომავალი მრძოლისთვის.

61

ნათლის მხედარმა იცის, რომ ანგელოზი და დემონი ერთმანეთს ეცილებიან, არა ჩემია ამის მახვილიანი ხელი, არა ჩემიო.



„შენ დაუძლურდები, ვერ გამოიცნობ საჭირო წამს. შეშინებული ხარ!“ ამბობს დემონი. „შენ დაუძლურდები, ვერ გამოიცნობ საჭირო წამს შეშინებული ხარ!“ – ეუბნება ანგელოზი.

და მხედარი გაოცებულია – ორივე ერთსა და იმავეს ამბობს.

„მოდი მე გიშველი“, – განაგრძობს დემონი. და ანგელოზი ეპასუხება: „მე უკვე გშველი“.

და ანგელოზის ამ სიტყვებისთანავე ნათლის მხედარი ხვდება განსხვავებას. სიტყვები ერთნაირია, ოღონდ სხვადასხვა ბაგენი წარმოთქვამენ.

და მაშინ ნათლის მხედარი თავისი ანგელოზის ხელს ირჩევს.

62

ყოველთვის, როცა კი ნათლის მხედარი მახვილს ამოიწვდის, დანიშნულებისამებრ იყენებს.

მახვილით ძალუძს გზის გაკაფვა, მავანისა და მავანის ხელის აპყრობა, მოსალოდნელი ხიფათის თავიდან აცილება – მაგრამ მახვილი თავგუნებაა და არ უყვარს, როცა უმიზეზოდ იშიშვლებენ ხოლმე.

ამიტომ მხედარი არცროდის მუქარას არ მიმართავს. თავდასხმა, იცოცხლე, უწყის, თავდაცვაც ეხერხება, ხან არც გაქცევაზე ამბობს უარს – ერთიც, მეორეც და მესამეც მრძოლის ნაწილის არსია.

წინასწარ მოქნეულით ტრაბახი მახვილის ძალის ფუჭად ხარჯვაა, და მრძოლისთან ამას არცრა საერთო არა აქვს რა.

ნათლის მხედარი ნიადაგ ყურადღებიანია თავისი მახვილის მოძრაობის მიმართ. მაგრამ არც ერთი წამით არ ივიწყებს, რომ მახვილიც ყურადღებით ადევნებს თვალყურს იმის სუყოველ მოძრაობას.

რამეთუ მახვილი იმისთვის არ შექმნილა, ლაპარაკს აჰყვეს.

63

ხან ხდება, რომ ნათლის მხედარს მომაგებრებლად თან დასდევს ბოროტება, მაშინ ის სრულიად აუღელვებლად ბოროტებას თავის კარავში იწვევს.

და ეკითხება ამ ადევნებულ ბოროტებას: „შენ რა, ჩემს დაღუპვას ეპირები თუ ჩემი საშუალებით სხვათა დაზიანება გადაგიწყვეტია?

ბოროტება თავს იკატუნებს, ვითომ არცრა ესმის. და თავისას უბერავს: მე შენი სულის ყოვლის უფრო საიდუმლო კუთხე-კუნჭულის ამბები ვიცი. ჯერეთ კიდევ მოუშუშებელ ჭრილობებზე მარილს აყრის და შურის საძიებლად აქეზებს. მეო, ეუბნება, ბევრი ეშმაკური ხრიკი ვიცი და იმდენ შეუმჩნევლად მოქმედ სამსალას ვამზადებ, შენს მტრებს სულ ამოულეტ, ეგრევე გაღმა სოფელში გაიყვანო.

მხედარი უსმენს. ბოროტება რომ გაკრინტდება, მხედარი ისევ ალაპარაკებას სთხოვს, მიდი, ბარემ ბოლომდე თქვი, სულ დაწვრილებით მიამბე, კიდევ რის გამუღავნებასაც აპირებო.

მთელი გულისნადები ბოლომდის რომ ათქმევინა, ნათლის მხედარი ადგა და წავიდა. ბოროტება ლაქლაქით ისე დაიღალა და გასავთდა, რომ მხედრის ადევნების თავი აღარა ჰქონდა.

გაგრძელება. დასაწყისი იხ. №212-217

პორტუგალიური ტექსტი დედნის ბწკარედის მიხედვით გადმოაენა გურამ გოგიაშვილმა

64

ნათლის მხედარი – თავისდა უნებურად – არასწორ ნაბიჯს ადგამს და უფსკრულში იჩეხება.

მარტოობა ტანჯავს, აჩრდილები შიშსა ჰგვრიან. სამართლიანი ბრძოლის ძებნაში რომ იყო, ვერც წარმოიდგენდა, რომ ასეთი რამ შეემთხვეოდა, მაგრამ შეემთხვა და კუნაპეტ სიბნელეში ჩაძირული თავის მოძღვარს უხმობს.

„მოძღვარო ღურღუმ მორევში ვიძირები, – ეუბნება იგი. – წყალს თვალს ვერ ვატან, ძირი არ უჩანს“.

„ერთი რამ გახსოვდეს, – ეპასუხება მოძღვარი. – ვინც წყალს ყლაპავს და იძირება, ის კი არ იხრჩობა, არამედ ვინც წყალქვეშ რჩება, ის იგუდება“.

და მხედარი მთელ თავის ძალებს იკრებს, რათა თავი დააღწიოს იმ მდგომარეობას, რომელშიც აღმოჩნდა.

65

ნათლის მხედარი ბავშვივით იქცევა.

პირს აღებინებს, აოცებს ადამიანებს, ვისაც აღარ ახსოვს, რომ ბავშვმა უნდა იცელქოს, ითამაშოს, ხანდახან ცოტა უნდა ითავხედოს კიდეც, ზედიზედ უნდა წააყაროს გულუბრყვილო კითხვები, ილაპარაკოს ათასი სისულელე, რაც თავადვე არა სჯერა.

და, ცოტა არ იყოს, შეფიქრიანებული ადამიანები ხმამაღლა ამბობენ სათქმელს: „ნუთუ ეს არის სულიერი გზა? რა გონებრივი უსუსურობაა!“

ნათლის მხედარი ამაყობს ყოველი ამგვარი შეფასებით. ერთი წუთითაც არ კარგავს თავის დანიშნულებას და თავისი უწყინარი მხიარულების წიაღ განაგრძობს მამაზეციერთან კავშირს.

66

სიტყვა „პასუხისმგებლობის“ ფესვი ხსნის იმისავე აზრს, ეს აზრი კი არის პასუხისგების უნარის ქონა, გამოხმაურება, მოქმედება.

პასუხისმგებელ მხედარს დაკვირვებისა და ვარჯიშის უნარი ჰქონდა. მაგრამ, ამას გარდა, არც „უპასუხისმგებლობის“ უნარი აკლდა – მორჩილად ნებდებოდა მოვლენათა მსვლელობას, არ ეპასუხებოდა არცრა მოვლენის გამოწვევას და არცრა წინააღმდეგობას უწევდა.

თუმცა აუთვისებელს არ უშვებდა არც ერთ გაკვეთილს – ისმენდა რჩევებს და არცრა შემწეობაზე არ ამბობდა უარს.

მეომარს პასუხისმგებლიანი შეიძლება რომ ვუწოდოთ მაშინ, როცა სოფელ-ქვეყნის მთელ სიმძიმეს თვითონ იკიდებს; პასუხისმგებლიანი მეომარი ის არის, ვინც ამწუთიერ გამოწვევაზე პასუხის გაცემა ისწავლა.

67

ნათლის მხედარს ყოველთვის არ შეუძლია, რომ თვითონ შეირჩიოს მრძოლის ველი.

ხან მოულოდნელად, ულუმელად ესხმიან თავს, და მრძოლის გარდა სხვა რა გზა აქვს, თუმცა სულაც არ არის მრძოლის გუნებაზე, მაგრამ არამც და არამც არ ფიქრობს გაქცევაზე, რამეთუ იცის,რომ ასეთი მრძოლეგი ყველგან თან სდევენ.

და როს შებმა უკვე თითქმის გარდაუვალია, ნათლის მხედარი თავის მოწინააღმდეგეს სიტყვას ჩამოუგდებს. არც შიშს ავლენს, არც სიმხდალეს, უბრალოდ, იმის გაგებას ცდილობს, რა მიზეზმა აფიქრებინა მეტოქეს იმასთან შერკინება; რამ მიატოვებინა მშობლიური სოფელი და რამ წამოიყვანა ამ ორთაბრძოლისთვის. მახვილგაუშიშვლეგელი არწმუნებს ნათლის მხედარი მოწინააღმდეგეს, ეს ჩემი მრძოლა არ არისო.

და სიტყვას არ აწყვეტინებს, ბოლომდე ათქმევინებს მოწინააღმდეგეს თავის სათქმელს. შებმით კი მხოლოდ მაშინ შეებმის, თუ ეს გარდაუვალი გახდა.

68

ნათლის მხედარი, სანამ მნიშვნელოვან რასმე გადაწყვეტდეს, საშინელ შიშს განიცდის.

„შენ ამ ამოცანის გადაჭრის ძალა არ შეგწევს“, – ეუბნება ერთი მეგობარი. „იარე წინ, ვაუკაცობას არ აღალატებინო“, – ეუბნება მეორე. და ასეთი შეგონებებისგან იმას უფრო უძლიერდება ეჭვები.

ამ დარდსა და ღელვაშია იგი რამდენიმე დღე. და, ბოლოს, გონს მოდის თავის კარავში, სწორედ იმ კუთხე-კუნჭულში, სადაც ფიქრსა და ლოცვას არის მიჩვეული.

დაფიქრებული გახედავს თავის მომავალს. იქ ჩანან ადამიანები, რომელთაც იმისი დამოკიდებულება ან განადიდებს, ან დაამხობს. ამას არცვისთვის არ უნდა ზედმეტი ტანჯვა-წამება, მაგრამ არც თავისი არჩეული გზის დაგდება სწადს.

და ნათლის მხედარი ელოდება, როდის მომწიფდება გადაწყვეტილება თავისით.

თუ საჭირო იქნება, თქმა „ჰოოსი“, ის გაბედულად წარმოთქვამს ამ სიტყვას, თუ საჭირო იქნება თქმა „არასი“ – ამას უკვე შიშით იტყვის.

69

ნათლის მხედარი მთლად ენდობა თავის გზა-სავალს.

„რა გასაოცარი რწმენაა!“ – აგონებენ ამხანაგები.

ამ სიტყვათაგან ნათლის მხედარი რამდენიმე წუთს სიამაყეს განიცდის, მაგრამ უმალვე სირცხვილი იპყრობს, რამეთუ ის რწმენა, რომელსაც გარეგნულად ავლენს, სულში არა აქვს.



ასეთ წამს თავისი მფარველი ანგელოზი ეჩურჩულება:

„შენ მხოლოდ და მხოლოდ ნათლის იარაღი ხარ. საპატივმოყვარეობო არცრა გაგაჩნია, მაგრამ არცრა იმის მიზეზი რამ მოგეპოვება, რომ თავი დამნაშავედ იგრძნო. შენ მხოლოდ მოლხენის საფუძველი გაქვს.

და თავს მხოლოდ იარაღად მიიჩნევს რა, ნათლის მხედარი სიმშვიდესა და რწმენას, გულდაჯერებულობას იძენს.

70

მართალია, ჰიტლერმა ომი კი წააგო მრძოლის ველზე – მაგრამ რაღაც რაღაცაში გამარჯვებული გამოვიდა, –

ამბობს მ.ხალტერი. – რამეთუ XX საუკუნის ადამიანმა შექმნა საკონცენტრაციო ბანაკი, აღადგინა ტანჯვა-წამებანი და თავისივე მსგავსთ შთააგონა, შეიძლება რომ თვალები დახუჭო და ვერ დაინახო გარშემო მყოფთა უბედურება“.

ვინ იცის, იქნებ მართალიც არის ამის მთქმელი: არსებობენ მიუსაფარი და მიგდებული ბავშვები, ჯერ კიდევ მხეცურად უსწორდებიან მშვიდობიან მოსახლეობას, ჯერ კიდევ არიან მარტოხელა მოხუცები, ლოთ-მებრუვენი, ბინძურ რუებში რომ ყრიან, რამდენიც გინდათ, იმდენი უგუნურია ხელისუფლებაში.

ან იქნებ სულაც მართალი არ არის ის მთქმელი, რამეთუ არსებობენ ნათლის მხედარნი.

ნათლის მხედარნი კი არცროდის არ აღიარებენ არაასაღიარებელს.

(გაგრძელება იძნება)

სადაც რუსი ცხოვრობს, იქ ყველგან არ არის ნოვოროსია!

რუსები მოლდოვას მაგალითს სთავაზობენ უკრაინასა და საქართველოს

რუსეთი კალაშნიკოვის ენით საუბარს განაგრძობს. სულ ახლახან რუსეთის სახელმწიფო დუმის დსთ-ს საქმეების კომიტეტის ხელმძღვანელმა ლეონიდ კალაშნიკოვმა განაცხადა, რომ მოლდოვას ტერიტორიული კონფლიქტის გადაწყვეტა შეიძლება მაგალითი გამოდგეს უკრაინისა და საქართველოსთვის.

კალაშნიკოვის თქმით, თუკი ევროკავშირის საზღვართან მდებარე მოლდოვა მიაღწევს ტერიტორიული კონფლიქტის გადაჭრას კონფედერაციის შექმნის სახით და, ამავდროულად, განავითარებს ურთიერთობას რუსეთთან, ეს მაგალითი იქნება უკრაინისა და საქართველოსთვის. მით უმეტეს, რომ ამ ქვეყნებში ერთი და იგივე ტერიტორიული პრობლემებია, სახელმწიფო წყობის ფორმა, კონსტიტუცია და ეკონომიკაც ერთნაირია.

ჩვენ გასულ თვეებშიც ვწერდით, რომ კონფედერაციის შექმნით კონფლიქტის გადაჭრის გეგმას საქართველოში ნაკლებად იზიარებდნენ. „პაატა ზაქარეიშვილის ავანტიურა, ანუ პრიმაკოვისეული გეგმის გაცოცხლების მცდელობა“, — ამ სიტყვებით ეხმაურებოდა „სახალხო ფრონტის“ ლიდერი **ნოდარ ნათაძე** პაატა ზაქარეიშვილის ინიციატივას, რომ საქართველო „მზად იყო“, განეხილა ფედერაციული სახელმწიფო მოწყობის შემოღების საკითხი, რაც აფხაზეთისთვის განსაკუთრებულ სტატუსს გულისხმობდა.

ნოდარ ნათაძის აზრს იზიარებდნენ საქართველოს პარლამენტის ყოფილი წევრებიც — მამუკა გიორგაძე, თენგიზ დიხამინჯია, პაატა კოლუაშვილი, თეიმურაზ მჟავია, ნიკოლოზ სანებლიძე და მიხეილ ჯიბუტი. ისინი აცხადებდნენ, რომ ფედერალური სახელმწიფოს მოწყობა, ანუ სახელმწიფოს იურიდიულად და პოლიტიკურად დაყოფა ორ ან მეტ ტერიტორიულ ერთეულად, რომელთაც საკუთარი პოლიტიკური ნება და შესაბამისი უფლებამოსილებები გაჩნიათ, სახელმწიფოს ერთიანობის პარალიზებას ნიშნავდა.

მათი აზრით, ქართველმა ერმა ჯერ კიდევ 2500 წლის წინ შეგნებულად უარყო საკუთარი თავის დაძუცმაცება კუთხურობის პრინციპით: ძუჯი ერისთავმა თავისი დინასტიის ძალაუფლებაც დათმო და საკუთარი საბატონო მეფე ფარნავაზს დაუძვემდებარა.

თუ გავითვალისწინებთ, რომ მოლდოვის ტერიტორიის ნაწილი (დნესტრისპირეთის სახით) რუსეთს ოკუპირებული აქვს, საინტერესოა, რას ნიშნავს ეს პრეცედენტი საქართველოსთვის?!

„სახალხო ფრონტის“ ლიდერი ნოდარ ნათაძე აცხადებს, რომ ლეონიდ კალაშნიკოვი ცრუობს, როცა მოლდოვას მაგალითს უდარებს საქართველოს. რეალურად კი, საქართველო არის უნიტარული, ერთიანი ქვეყანა, როგორც ისტორიულად, ისე — დღესაც და საქართველოში შემოსულ სხვა ხალხებს (თათრებს, სომხებს, თურქული მოდგმის აზერბაიჯანელებს და სხვებს) ტერიტორიული ავტონომიის მოთხოვნის უფლება არა აქვთ.

„საქართველოს თავის არაქართველ მოსახლეობასთან პრობლემის მოწესრიგების უტყუარი და შეუვალი პრინციპი აქვს. ეს არის ინტეგრაცია ასიმილაციის გარეშე. სხვა ეროვნების ხალხი ჩვენთან იცხოვრებს, საკუთარ დედაენაზე ისწავლის, მაგრამ არ ექნებათ უფლება ჩვენი ტერიტორიის მიმართ გარდა ერთისა, რომ მონაწილეობა მიიღონ საპარლამენტო და საპრეზიდენტო არჩევნებში. მოლდოვასა და უკრაინაში საქმე ასე არ არის, აფხაზების წინაპრები საქართველოში შემოვიდნენ მე-16-17 საუკუნეში. ისინი შემოვიდნენ ფეოდალურ სახელმწიფოში, სამეფოში, სადაც არსებობდა ეროვნული თვითცნობიერება. ამიტომ შემოსახლებულ აფსუებსაც განუვითარდათ ეროვნული თვითცნობიერება. დღეს ისინი თავს აიგივებენ არა ერთ-ერთ ადიღეურ ტომთან, არამედ — აფხაზ ერთან. ჩვენ, ქართველები მათ ამ ისტორიულ ნაბიჯს პატივს ვცემთ. ჩვენ მივიჩნევთ, რომ აფხაზი ერი, სადაც ცხოვრობს, უნდა ჰქონდეს საკუთარი საზოგადოების თავისი გემოვნებით, ტემპერამენტით, ტრადიციის მიხედვით მოწყობის უფლება. ეს ეხება მხოლოდ იმ ტერიტორიებს, სადაც ისინი კომპაქტურად ცხოვრობენ, მაგრამ არ ეხება არც გალის რაიონს და არც კოდორის ხეობას, სადაც ქართველები ცხოვრობენ. კალაშნიკოვის ამ განცხადების უკან დგას სიმულანტი რუსეთი, რომელიც თავს წარმოაჩენს, თითქოს საქართველოს პრობლემის გადაჭრის ინტერესი აქვს. რუსეთს სურს, საქართველოს სიტუაცია მაქსიმალურად მიამსგავსოს სხვა ქვეყნების სიტუაციას. მაშინ, როცა არც მოლდოვასა და არც უკრაინაში ანალოგიური სიტუაცია არ არის“, — ამბობს ნოდარ ნათაძე.

მისივე თქმით, შევარდნაძეს ასეთი გამონათქვამი აქვს: „ნე ბილო ბი ჩეჩნი, ნე ბილო ბი ი აბხაზიი“, ე.ი. შევარდნაძეს სურდა, ეთქვა, ჩეჩნეთში რომ არ გაჩენილიყო კონფლიქტი, აფხაზეთშიც კონფლიქტი არ გაჩნდებოდაო. თუმცა ეს სიცრუე იყო, რადგან ჩეჩნეთსა და აფხაზეთში მიმდინარე ომებს ერმანეთთან საერთო არაფერი ჰქონდათ. ჩეჩნეთის ომი იყო განმათავისუფლებელი ომი, აფხაზეთის ომი კი იყო რუსების მხრიდან დაპყრობითი ომი ავტოქტონური ქართული მოსახლეობის წინააღმდეგ.

„მოლდოვაში ცხოვრობს რუსი მოსახლეობაც და ადგილობრივი მოსახლეობაც. იქ ყოვლად უსაფუძვლოდაა შექმნილი დნესტრისპირეთი. თუმცა რუსული პოლიტიკა თავისი თავხედობით არ ითვალისწინებს ელემენტარულ ჭეშმარიტებას: თუკი მოლდოვას პრეცედენტი დაკანონდება დედამიწაზე, ეს მსოფლიოს ყველა კონტინენტზე მცხოვრები ყველა ეთნიკური ჯგუფის პანიკურ შიშს გამოიწვევს სხვა დანარჩენი ეთნიკური ჯგუფის მიმართ მათი გამრავლების გამო. ეს იქნება სტიმული უკრაინელებისთვის, გაწყვიტონ რუსები დონბასში და, ასევე, ეს იქნება სტიმული დონბასის რუსებისთვის, გაწყვიტონ უკრაინელები დონბასში. მათ ექნებათ იმის იმედი, თუ მოიპოვეს რაოდენობრივი უმრავლესობა, ტერიტორიაც მათი გახდეს და ტერიტორიის სტატუსიც შეიცვლოს. ამაშია აბსურდი და რუსებს ეს უკან მოუბრუნდებათ. ასე რომ, უკან დარჩებათ პუტინის ბოდვა, „სადაც რუსი ცხოვრობს, იქ ყველგან არის ნოვორასია“.

პოლიტოლოგი ვახტანგ ძაბირაძე For.ge-სთან საუბარში აცხადებს, რომ ტერიტორიული პრობლემები აქვს მოლდოვას დნესტრისპირეთის სახით. რაც შეხება უკრაინას, უკრაინაში მოგვიანებით დაიწყო ეს კონფლიქტი. ასე რომ, მოლდოვას, საქართველოსა და უკრაინის კონფლიქტები გადაწყვეტას მოითხოვს.

„რუსეთის მხრიდან მსგავსი შეთავაზებები მუდმივად იყო, მაგრამ ყოველთვის საუბრის დონეზე რჩებოდა. დღესაც არ ვიცით, კალაშნიკოვი რას გვთავაზობს. სიტყვა „კონფედერაციას“ ყველა ადამიანი თავისებურად გაიაზრებს. შესაძლოა, სიტყვა „კონფედერაციაში“ ლეონიდ კალაშნიკოვი სხვა რამეს გულისხმობდეს, ჩვენ კი -სრულიად განსხვავებულს. ამიტომ მთლიანად კომპლექსში უნდა იქნეს ეს საკითხი განხილული და მარტო ტერმინზე არ გავაკეთოთ აქცენტი. აქ საინტერესოა, რუსები რას გულისხმობენ კონფედერაციაში, მოლდოველები და ქართველები კი რას მოიაზრებენ ამ სიტყვის მიღმა. ვნახოთ, რა დოკუმენტს შესთავაზებენ მოლდოვას. რუსებმა ყველაზე კარგად იციან მოლდოვას კონფლიქტი, სწორედ ისინი არიან ამ კონფლიქტის შემოქმედნი. ტერმინთა ტყვეობაში არ უნდა ვიყოთ. გინდაც კონფედერაცია დაარქვით, გინდაც ფართო ავტონომია, აქ მთავარია შეკითხვა, აქვს კი ამ კონფედერაციას გამოყოფის უფლება? ამიტომ სიფრთხილეა საჭირო. ცხადია, რუსებს სიკეთის მოძალების სურვილი არ ექნებათ. ჩვენ ვერ ჩავერევით მოლდოვას საქმეებში, ვნახოთ დოკუმენტი, წინასწარ ვაი-ვიშის ატეხა სწორი არ იქნება“, — აცხადებს ვახტანგ ძაბირაძე და განმარტავს, — ჩვენი უბედურება ის არის, რომ, როგორც კი ჩვენთვის მიუღებელ ან ჩამოუყალიბებელ ტერმინს გავიგონებთ, მაშინვე ვყვირით, არ გვინდა კონფედერაციაო. ასეთმა პოლიტიკამ არ გამაართლა.

მანანა ნოზაძე

მელანია და ბენონი თეთრ სახლში ჯერ არ გადავლენ

დონალდ ტრამპის ოჯახი თეთრ სახლში გადასვლას ჯერჯერობით არ აპირებს. ამის შესახებ ტელეკომპანია სიენ-ენი იტყობინება. გავრცელებული ინფორმაციით, ტრამპის მეუღლე მელანია და ვაჟი ბენონი კიდევ რამდენიმე თვეს ნიუ-იორკში იცხოვრებენ. მას შემდეგ კი, რაც ბენონი სასწავლო წელს დაამთავრებს, ის დედასთან ერთად თეთრ სახლში გადავა.

პუტინი ტრამპთან შეხვედრას ჯერჯერობით არ გეგმავს

ამის შესახებ რუსეთის პრეზიდენტმა პერუს სამიტზე განაცხადა. ვლადიმერ პუტინის თქმით, მას ამერიკის ახლადარჩეულ პრეზიდენტთან თანამშრომლობის იმედი აქვს, თუმცა წინასაარჩევნო რიტორიკა და რეალური პოლიტიკა ხშირად ერთმანეთისგან განსხვავდება. **„ეს ყველაფერი იმაზე იქნება დამოკიდებული, თუ რამდენად კარგად გაართმევს თავს ტრამპი იმ პრობლემებს, რომელიც დღეს შეერთებული შტატების წინაშე დგას,“** — აღნიშნა პუტინმა.

სამხრეთ კორეის პრეზიდენტს იმპიჩმენტს უცხადებენ

სამხრეთ კორეის ოპოზიციამ პრეზიდენტის იმპიჩმენტის პროცედურის დაწყებაზე ხელმოწერების შეგროვება დაიწყო. პაკ კინ ხე კორუფციულ სკანდალში მას შემდეგ გაეხვა, რაც მისი მეგობარი ქალი სახელმწიფო საქმეებში ჩარევასა და კორუფციულ გარიგებებში დაადანაშაულეს. პროკურატურამ ჩხვე სუნ სილს ოფიციალური ბრალდება დაუსწრებლად უკვე წაუყენა, თუმცა ბრალდებულმა ქვეყნიდან გაქცევა მოასწრო. ბრალდებას ის კატეგორიულად უარყოფს.

ობამა ოჯახთან ერთად დასვენებას აპირებს

პრეზიდენტის პოსტზე 8-წლიანი მუშაობის შემდეგ ბარაკ ობამა დასვენებას აპირებს. ამის შესახებ თეთრი სახლის ლიდერმა პერუში სპეციალურ პრესკონფერენციაზე განაცხადა. **„პირველს, რასაც პრეზიდენტობის ვადის ამოწურვის შემდეგ გავაკეთებ, ჩემს მეუღლეს და ქალიშვილებს დასასვენებლად წავიყვან. მე ჩემს ოჯახთან უფრო მეტ დროს გავატარებ,“** — აღნიშნა ობამამ.



თურქეთში დაკავებების სერია გრძელდება

თურქეთში კიდევ ერთი მერი დააკავეს. ამჯერად პოლიციამ ქალაქ მარდინის თავი დააპატიმრა. ახმეტ თურქს ბრალი ქურთისტანის მშრომელთა პარტიასთან თანამშრომლობაში ედება. მანამდე ის პროქურთულ დემოკრატიულ პარტიას ხელმღვანელობდა. ბოლო ერთი კვირის განმავლობაში პოლიციამ თურქეთში უკვე მეორე მერი დააპატიმრა. გასულ კვირას ქურთისტანის მშრომელთა პარტიასთან თანამშრომლობის ბრალდებით ქალაქ ვანის მერი დააკავეს.

ტერაქტს ქაბულში 27 ადამიანი ემსხვერპლა

მორიგი ტერორისტული აქტი მოხდა ავღანეთში. ქაბულის შიიტურ მეჩეთში თავი თვითმკვლელმა ტერორისტმა აიფეთქა. თავდასხმას 27 ადამიანი ემსხვერპლა. რამდენიმე დაშავებულის მდგომარეობა კრიტიკულია, რის გამოც მსხვერპლი შესაძლოა, გაიზარდოს. მომხდარზე პასუხისმგებლობა ჯერჯერობით არავის აუღია.

◎ წინ, საქართველო!

„თავისუფლების“ ტრიუმფი ბუქარესტში

რუმინეთის დედაქალაქმა პრესტიჟულ გუნდურ შეჯიბრებას – „ევროპის ერთა თასს“ უმასპინძლა თავისუფალ და ბერძნულ-რომაულ ჭიდაობებში. მოასპარეზეთა შორის იყვნენ ქართველი ფალავნებიც. „თავისუფალთა“ მთავარმა მწვრთნელმა, ოლიმპიურმა ჩემპიონმა რევაზ მინდორაშვილმა ბუქარესტში 14 მოჭიდავე – ბექა ბუჯიაშვილი და ოთარ გოგავა (57), ბექა ლომთაძე და ოლიმპიური ჩემპიონი ვლადიმერ ხინჩეგაშვილი (61), ზურაბ იაკობაშვილი და კონსტანტინე ხაბალაშვილი (65), დავით ტლაშაძე (70), იაკობ მაქარაშვილი და ზურაბ ერბოწონაშვილი (74), სანდრო ამინაშვილი და ირაკლი მწითური (86), ელიზბარ ოდიკაძე (97), გიორგი მეშვილდიშვილი და რიოს ოლიმპიადის ბრინჯაოს პრიზიორი გენო პეტრიაშვილი (125) – წაიყვანა. „ერთა თასზე“ ჩვენებთან ერთად რუსები, რუმინელები, აზერბაიჯანელები, ბელარუსები და უკრაინელები გამოდიოდნენ.

ბერძნულ-რომაული სტილით (აქ საქართველოს, რუსეთის, რუმინეთის, აზერბაიჯანის, უკრაინისა და თურქეთის ნაკრები გუნდები მონაწილეობდნენ) ქართველთაგან 10-მა ფალავანმა იჭიდავა – ირაკლი შავაძემ (59), შმაგი ბოლქვაძემ (66), მინდია წულუკიძემ (71), გიორგი დათუნაშვილმა და გელა ბოლქვაძემ (75), ზურაბ დათუნაშვილმა და ნიკოლოზ კელასოვმა (80), რობერტ კობლიაშვილმა (85), კუკური კირცხალიამ (98) და იაკობ ქაჯაიამ (130).

რევაზ მინდორაშვილის შეგირდებმა პირველ წრეში უკრაინის ნაკრებს მოუგეს – 5:3, მეორე წრეში მასპინძლებს მშრალი ანგარიშით – 8:0 სძლიეს, გადამწყვეტ პაექრობაში კი უმთავრესი კონკურენტი – რუსეთის ნაკრები დაამარცხეს – 6:2 (ოთარ გოგავა-რასულ მეშეზოვი 4:1, ბექა ლომთაძე – ახმედ ჩაკაევი 4:6. ზურაბ იაკობაშვილი – მურად ნუხკადიევი 10:0, დავით ტლაშაძე – ილდუს გინიატულინი 10:2, .ზურაბ ერბოწონაშვილი – ხუსეინ სიუნჩევი 10:4. სანდრო ამინაშვილი – შამილ აბდურახმანოვი 2:6, ელიზბარ ოდიკაძე-ევგენი კოლომიეცი 6:0, გენო პეტრიაშვილი – ბეკხან დუკაევი 10:0) და მთავარი პრიზი მოიპოვეს.

„თავისუფლებს“ მხარი ვერ აუბეს „კლასიკოსებმა“: შეჯიბრების სტარტზე ჩვენებმა B ჯგუფში ბულგარელებს მოუგეს 5:3, მაგრამ რუსებთან 1:6 დამარცხდნენ და ჯგუფში მეორე ადგილი დაიკავეს. საგულისხმოა, რომ ზურაბ დათუნაშვილმა (80) და რუსმა იმილ შარაფეტდინოვმა შეხვედრისას იჩხუბეს, რის გამოც ორივე სპორტსმენი ტურნირიდან მოხსნეს. A ჯგუფში სამეული ასეთი თანმიმდევრობით განაწილდა: უკრაინა, რუმინეთი, პოლონეთი. ქართველები „ბრინჯაოსთვის“ მასპინძლებს დაუპირისპირდნენ. დაძაბული პაექრობა ფრედ – 4:4 დასრულდა, მაგრამ დამატებითი მაჩვენებლებით ჩვენები მე-4 ადგილს დასჯერდნენ. „ევროპის ერთა თასი“ უკრაინელების ძლევით (6:2) რუსებმა დაისაკუთრეს.

ლაშა დიდია

◎ რაგბი

განსხვავებული ტაიმები

საქართველო-სამოა 20:16

საქართველოს მორაგბეთა ნაკრებმა ნოემბრის ტესტების მეორე შეხვედრა სამოას ეროვნულ გუნდთან „მიხეილ მესხის“ სტადიონზე გამართა. „ბორჯღალოსნები“ ერთი კვირის წინათ იაპონიასთან მარცხის მერე ამ მატჩისთვის საგულდაგულოდ მოემზადნენ და მოედანზეც გამარჯვების სულისკვეთებით გავიდნენ. პირველი ტაიმი ქართველთა უპირატესობით წარიმართა – იერიში იერიშს მოსდევდა. ერთ-ერთი შეტევის შემდეგ ზედ ლელოს ხაზზე კუნძულელებმა შერკინება ჩაშალეს და ამის გამო დაისაჯნენ კიდეც – 5:0. მერაბ კვირიკაშვილმა ზუსტად გარდასახა, მერე მან საჯარიმოც გაიტანა და პირველი ტაიმი მასპინძლებმა 17:10 მოიგეს.

შესვენების შემდეგ სიტუაცია შეიცვალა - უპირატესობას სტუმრები ფლობდნენ და რამდენჯერმე ლელოსთანაც ახლოს იყვნენ, მაგრამ ქართველმა მორაგბეებმა წარმატებით დაიცვეს თავი. საგულისხმოა, რომ მე-2 ტაიმში მეტოქეებმა მხოლოდ სამი საჯარიმო გაიტანეს. საბოლოოდ საქართველოს ნაკრებმა ეს შეხვედრა 20:16 მოიგო. მომდევნო მატჩს „ბორჯღალოსნები“ მომავალ უქმეებზე შოტლანდიაში გამართავენ.

ლექსო ცინცაძე

◎ კალათბურთი

მცირედიც სომ წვლილია?..

„ანდორამ“ ესპანეთის ჩემპიონატის მე-9 ტურში შინ „მონბუსი“ დაძაბულ ბრძოლაში 91:87 დაამარცხა, თუმცა, საქართველოს ეროვნული ნაკრების წევრების ბექა ბურჯანაძისა და გიორგი შერმადინის მონაგარი წინა მატჩებთან შედარებით ამჯერად მოკრძალებული გახლდათ.

ცენტრმა შერმადინმა მოედანზე 24 წუთი დაჰყო და 11 ქულა გამოიმუშავა. ქართველმა 6-დან 4 ორქულიანი ჩააგდო და 5-დან სამი საჯარიმო ტყორცნა გამოიყენა. გიორგიმ 5 მოხსნა მიითვალა და მისი მარგი ქმედების კოეფიციენტი 15 გახლდათ.

ბურჯანაძეს თამაში საერთოდ არ წაუვიდა. 18 წუთში ბექამ 2-2 ორქულიანი და სამქულიანი ვერ ჩააგდო და 6 ქულა მხოლოდ საჯარიმო სროლებიდან მიითვალა. ასევე ქართველს აქტივში 5 მოხსნა და 1 გადაცემა ჰქონდა.

„ანდორა“ 6 მოგებით და 2 მარცხით ჩემპიონატში მეოთხე ადგილზე დამკვიდრდა. ქართველი ლეგიონერების გუნდს მომდევნო შეხვედრა სტუმრად „ფუენლაბრადასთან“ 27 ნოემბერს ელის. მეტოქე ჩემპიონატის ერთ-ერთი აუტსაიდერია და მე-15 ადგილზეა.

ვიტალი ჯაფარიძე

◎ უკვდავება

სტრიქონებად აკინძული გენია

საჯარო ბიბლიოთეკაში ლეგენდარული დავით ყიფიანის საიუბილეო თარიღთან დაკავშირებით გამოცემული წიგნის „დღესასწაულის წადილი“ პრეზენტაცია გაიმართა.

კრებული, რომელიც საქართველოს სპორტულ ჟურნალისტთა ასოციაციის მიერ მომზადდა და გამოიცა, ფეხბურთელის შესახებ სხვადასხვა დროს გამოქვეყნებულ წერილებსა და ინტერვიუებს, ფოტოსურათებსა და მოგონებებს შეიცავს.

გამოცემის ავტორი ჟურნალ „ათიანის“ მთავარი რედაქტორი და სპორტულ ჟურნალისტთა ასოციაციის ყოფილი პრეზიდენტი გია გორგოძე გახლავთ.

ღონისძიებას დავით ყიფიანის ოჯახის წევრები, ვეტერანი სპორტსმენები, გულშემატკივრები, ჟურნალისტები და საზოგადოებისათვის ცნობილი სახეები ესწრებოდნენ. პრეზენტაციაზე იმყოფებოდნენ თბილისის მერი დავით ნარმანია, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს, ასევე საჯარო ბიბლიოთეკის ხელმძღვანელები და მოწვეული სტუმრები.

დავით ყიფიანი ყველა დროის ყველაზე წარმატებული თბილისის „დინამოს“ ვარსკვლავი გახლდათ. კლუბთან ერთად მან საკავშირო ჩემპიონატი, თასი (ორჯერ), სხვადასხვა სინჯის მედლები, 1981 წელს კი თასების მფლობელთა თასი მოიგო. 1977 წელს ის საბჭოთა კავშირის საუკეთესო ფეხბურთელად აღიარეს.

2016 წლის 18 ნოემბერს დავით ყიფიანს 65 წელი შეუსრულდებოდა. ის 2001 წლის 17 სექტემბერს მომხდარ ავტოავარიას შეეწირა.

გიორგი შოთაძე

◎ ჩოგბურთი

დასკვნითი ტურნირიც, სეზონიც

ენდი მარეიმ ATP-ის შემაჯამებელი ტურნირი მოიგო.

იგი პირველად თამაშობდა წლის შემაჯამებელი ტურნირის ფინალში, ჯოკოვიჩი კი ბოლო ოთხი გათამაშების ჩემპიონი იყო.

ჩოგბურთელები წელს მეხუთედ ხვდებოდნენ ერთმანეთს. „ნოლემ“ ოთხიდან სამი მოიგო, შოტლანდიელმა კი ერთადერთხელ დაამარცხა სერბი – გაზაფხულზე, რომის „მასტერსის“ ფინალში. მაშინ კლასიფიკაციაში სხვაობა ნოვაკსა და ენდის შორის 9025 ქულა იყო და იმ დროს ვერავინ წარმოიდგენდა, რომ სეზონის ბოლოს ბრიტანელი ლიდერობას ჩამოართმევდა ბალკანელს, მაგრამ, მაისიდან მოყოლებული, მარეიმ 69 მატჩიდან 64 მოიგო და 13 ტურნირიდან 12-ის ფინალში ითამაშა.

არ გამართლა მოლოდინი იმის შესახებ, რომ მას ფიზიკურად გაუჭირდებოდა. ენდიმ უმაღლეს დონეზე ჩაატარა პირველი სეტი. თანაბარი დასაწყისის შემდეგ პირველი ბრეიკ-პოინტები მეექვსე გეიმში გამოიმუშავა, თუმცა, ჯოკოვიჩმა ორივე საფრთხე მოიგერია. სერბი მაინც ვერ გადაურჩა საკუთარი მოწოდების წაგებას – მერვე გეიმში მარეიმ შეძლო რიგით მესამე ბრეიკ-პოინტის გამოყენება, რის შემდეგაც სეტზე ჩაწოდება მოახერხა. ამ პარტიაში ნოვაკს ერთი ბრეიკ-პოინტიც არ ჰქონია.

საბოლოოდ შეხვედრა ბრიტანელის გამარჯვებით 6:3; 6:4 დასრულდა და მან რეიტინგში პირველობა შეინარჩუნა. წლის შემაჯამებელი ტურნირის საპრიზო ფონდი ლონდონში 7.5 მილიონ ამერიკულ დოლარს შეადგენდა.

კოგა კოგახიძე

◎ ინტერნეტიდან

ბარ რაფაელი მესიზე დარდობს

„ბარსელონას“ რომ უამრავი ცნობილი და სახელგავარდნილი ადამიანი ქომაგობს – ეს ყველასათვის გასაგები ამბავია. თუმცა, ამ „ფეისებს“ შორის უდავოდ გამორჩეულია წარმოშობით ებრაელი ტოპ-მოდელი ბარ რაფაელი, რომლის სიტყვას კატალონურ კლუბთან დაკავშირებით ყოველთვის დიდი ფასი ადევს.

ამას წინათ მან ერთ-ერთ „ყვითელ“ გამოცემას ვრცელი ინტერვიუ მისცა და საკუთარ პირად ცხოვრებასა და სამომავლო გეგმებთან ერთად, „ბლაუგრანას“ მომავალზეც ისაუბრა. ცნობილი მოდელი შიშს გამოთქვამს იმის თაობაზე, რომ შეიძლება ადრე თუ გვიან ლეო მესი კლუბიდან წავიდეს.

ბარ რაფაელი გულდარდიანობს იმის გამო, რომ ამ ბოლო დროს ბევრს საუბრობენ მესის „ბარსელონადან“ გადაბარგებაზე და ამ ჭორებს ისიც აძლიერებს, რომ თავად ლეო მესი დიდად არ აპროტესტებს მის გარშემო ატეხილ აჟიოტაჟს. ებრაული ფესვების მქონე მოდელი კი იძახის – რაღა ულეომესო "ბარსელონა" და რაღა უშალვანათელაშვილო ლეიბორისტული (შრომის) პარტიაო.

როსტომ რაჭველიშვილი

გამომშვიდობება დიდ ხელოვანთან გიზო ჟორდანიას ხსოვნას

წავიდა ჩვენგან უდიდესი ხელოვანი, დრამისა და ოპერის ბრწყინვალე რეჟისორი, უსპეტაკესი პიროვნება, მოაზროვნე და ღირსებით სავსე ადამიანი. ნიშანდობლივია, რომ სასიკვდილო სარეცელზე მყოფი, ზაქარია ფალიაშვილის „დაისის“ დადგმაზე ფიქრობდა ოპერის თეატრის განახლებულ სცენაზე და თავის ვაჟს კოკის ზაარლანდის სახელმწიფო თეატრში (დასავლეთ გერმანია, 1973წ.) კურთხევა სთხოვა. საფიქრებელია, რომ ცნობიერების მიხდამდე, თავის ხანგრძლივი და უაღრესად ნაყოფიერი ცხოვრების დაისზე, ის გულისშემძვრელი მელოდია ჩაესმოდა, რომელიც ყოველი ჭეშმარიტი ქართველის გლოვას გამოხატავს, აუნაზღაურებელი დანაკარგის გამო.

განსაცვიფრებელი იყო მისი შემოქმედებითი ენერგია, სცენური ინსპირაციების დაუვიწყარ სანახაობად ქცევის უნიკალური უნარი, ანუ ყოველივე ის, რაც მის უკანასკნელ შედევრში, „აბესალომ და ეთერი“ ასე ნათლად გამოჩნდა. ოთხმოც წელს გადაცილებულმა რეჟისორმა ჭეშმარიტად გრანდიოზული, ფოიერვერკული სანახაობა შექმნა, შეუცდომლად პოლიფონიური, სადაც თეატრალობა, მუსიკის ჟღერადობა, ქოროს ხმები, სოლისტების არტისტიზმი და სცენოგრაფია იშვიათი ჰარმონიულობით იყო შერწყმული. ასეთი დიდი დიაპაზონის, მრავალფეროვანი სპექტაკლის შემდეგ, მისი ტალანტის თაყვანისმცემლები მისგან ელოდნენ ელვარე სპექტაკლებს, და ვაი, რომ ეს მოლოდინი მოლოდინად დარჩა.

მისი პიროვნული ღირსებებიც ისევე უნიკალური იყო, როგორც მისივე შემოქმედება — იყო გულმხურვალე პატრიოტი, უშურველი შემოქმედი, ლაღი ბუნების, სიცოცხლით და იუმორით აღსავსე, შინაგანად თავისუფალი პიროვნება. იგი ყოველდღიურობას რეჟისორის თვალით სჭვრეტდა, და, ვინაიდან, ყველას მიმართ კეთილგანწყობილი იყო, მისი აღქმა ოპტიმიზმითა და ხალისიანობით იყო აღბეჭდილი. მისი პედაგოგიური მოღვაწეობა თეატრისა და კინოს უნივერსიტეტში განსაკუთრებული მოვლენაა. მან აღზარდა მსახიობთა და რეჟისორთა მთელი თაობები, რომლებიც წარმატებით მოღვაწეობენ დღევანდელ ქართულ სცენაზე, ხოლო ზოგიერთი მათგანი უკვე დიდი არტისტია. ამავე უნივერსიტეტის რექტორობის დროს მან წარმატებით განახორციელა მრავალი ფრიად საყურადღებო რეფორმა, რამაც კიდევ უფრო აამაღლა როგორც საკუთრივ მისი, ასევე, ამ უმაღლესი სასწავლებლის პრესტიჟი. ახალგაზრდებთან დადგმული მისი სპექტაკლები რუსთაველის თეატრის მცირე სცენაზე — „სამანიშვილის დედინაცვალი“ (1987 წ.), „ჰამლეტი“ (1991 წ.), „მუსუსი“ (1992 წ.) და სხვები დიდი წარმატებით სარგებლობდა როგორც ჩვენში, ისე საზღვარგარეთ (პოლონეთი, შოტლანდია, ესპანეთი და სხვა). ამ წარმატებას განაპირობებდა სპექტაკლების ცხოველმყოფელობა, პიესების გააზრების სიახლე და განსაცვიფრებელი მოულოდნელობა, მართლაც ჭეშმარიტი თეატრალობა. შემთხვევითი არ იყო, რომ ახალგაზრდების ეს ჯგუფი შეერწყა რუსთაველის თეატრის დიდ დასს და მისი ორგანული ნაწილი გახდა.

დამოუკიდებელი მოღვაწეობა, ანუ, როგორც სამხატვრო ხელმძღვანელმა, ადრე დაიწყო, 1962 წელს, ბათუმში. აქ მან სამი სეზონი დაჰყო და ამ სამი წლის მანძილზე ძალზე საინტერესო და მრავალფეროვანი რეპერტუარი შექმნა. თვით კი ცხრა სპექტაკლი დადგა, რომელთაგან განსაკუთრებით გამოირჩეოდა ჯონ ფლეტჩერის „მომრჯულებლის მომრჯულებელი“ (1962 წ.), პოლიკარპე კაკაბაძის „ყვარყვარე თუთაბერი“ (1962), ვაჟა-ფშაველას „გველის მჭამელი“ (1963 წ.). მის მიერ დადგმული „ყვარყვარე“ ე.წ. „ჰიპერრეალიზმის“ ნიმუში იყო, უაღრესად გროტესკული (სცენოგრაფიაშიც კი), პირობითი, თავისუფალი იმპროვიზაციით სავსე. საერთოდ, სცენური იმპროვიზაციები მისი სტიქია იყო და ეს მისი ნიჭიერება განსაკუთრებული ბრწყინვალებით ანათებდა კომედიურ სპექტაკლებში. ამ მხრივ განსაკუთრებით გამოირჩეოდა მის მიერ რუსთაველის თეატრში, 1969 წელს დადგმული მოლიერის „გააზნაურებული მდაბიო“, სადაც ეროსი მანჯგალაძემ ჟურდენის დაუვიწყარი სახე შექმნა. საერთოდ, კოტე მარჯანიშვილის „გააზნაურებული მდაბიოს“ შემდეგ, ეს იყო პირველი სრულყოფილი „კომედია-ბალეტი“ და, ამ თვალსაზრისით, იგი შეიძლება ამ ჟანრის ამაღორძინებლად ჩაითვალოს ქართულ თეატრში.

ბათუმში წარმატებული მოღვაწეობის შემდეგ, მიხეილ თუმანიშვილის ინიციატივით გიზო ჟორდანია გადმოყვანილი იქნა რუსთაველის თეატრში რეჟისორად, აქ მისი მოღვაწეობა ორ პერიოდს მოიცავს — 1965-69 და 1987-92 წლებს.პირველ პერიოდში დადგმული სპექტაკლებიდან ძალზე



საინტერესო იყო თამაზ ჭილაძის „აკვარიუმი“ (მცირე სცენა, 1969 წ.), ნატალია აზიანის „უკანასკნელი მასკარადი“ (დიდი სცენა, 1966 წ.), კონსტანტინე გამსახურდიას „ხოგაის მინდია“ (დიდი სცენა, 1967 წ.) და უკვე მოხსენიებული „გააზნაურებული მდაბიო“ (1969 წ.). ხოლო მეორე პერიოდში დადგმული ყველა ახალგაზრდული სპექტაკლი, როგორც ითქვა, შედევრი იყო. ამ პერიოდში გიზო ჟორდანია რუსთაველის თეატრის მთავარი რეჟისორი იყო.

რვა წლის მანძილზე (1970-1978) იგი თბილისის საოპერო თეატრის მთავარი რეჟისორი იყო და ქართული საოპერო რეჟისურის ერთ-ერთ გამორჩეულ ფიგურად იქცა. მის წარმატებულ მოღვაწეობას განაპირობებდა ის ფაქტიც, რომ მას მუსიკალური განათლებაც ჰქონდა მიღებული და მსოფლიოში სახელგანთქმულ რეჟისორთან ვალტერ ფელზენშტაინთან „კომიშე ოპერაში“ წარმატებით გაიარა სტაჟირება. წლების მანძილზე იგი იქცა საოპერო რეჟისურის ერთგვარ მეტრად. მუსიკალური თეატრები ცდილობდნენ თავიანთ სცენებზე ეხილათ გიზო ჟორდანიას მიერ განხორციელებული დადგმები. საერთო ჯამში მან განახორციელა ოცდაექვსი საოპერო თუ მუსიკალური დადგმა. აქედან თბილისის საოპერო თეატრში — თერთმეტი, ზაარბრიუკენის თეატრში — ოთხი, ბათუმის ოპერისა და ბალეტის თეატრში — ხუთი, აგრეთვე დადგმები კიშინიოვსა და ერევანში, ხოლო მოსკოვში, ე.წ. „სვეტებიან დარბაზში“ — ოთარ თაქთაქიშვილის „სამი ნოველა“. ყოველივე ამას თუ დავუმატებთ მის მიერ დადგმულ საზეიმო კონცერტებსა და საღამოებს, რომელთა რაოდენობა შორს სცილდება სამ ათეულს, ნათელი გახდება მისი მუსიკალური და რეჟისორული მოღვაწეობის მასშტაბები და დიაპაზონი. დიდ ყურადღებას აქცევდა ქართულ საოპერო რეპერტუარს, ყველაზე ხშირად განახორციელებდა ფალიაშვილის ოპერებს — „აბესალომ და ეთერი“ — ოთხგზის, „დაისი“ — ორგზის, ოთარ თაქთაქიშვილის „მინდია“ — სამგზის, „მთვარის მოტაცება“ და „სამი ნოველა“, სულხან ცინცაძის „განდეგილი“, რეზო ლაღიძის „ლელა“ — ორგზის, ნოდარ მამისაშვილის „ბაქია ბაჭია“, ვიქტორ დოლიძის „ქეთო და კოტე“. ამ ვრცელი რეპერტუარიდან შეიძლება რამდენიმე საეტაპო მნიშვნელობის მოვლენად მივიჩნიოთ თაქთაქიშვილის „მინდია“(-1970) და „მთვარის მოტაცება“ (1978), ჩაიკოვსკის „პიკის ქალი“ და ფალიაშვილის „აბესალომ და ეთერი“(ზაარბრიუკენი, 1976; თბილისი — 2016 წ.). ცალკე განხილვის საგნად შეიძლება მივიჩნიოთ მისი მოღვაწეობა და მისი ღვაწლი ბათუმის საოპერო ხელოვნების აღორძინების საქმეში. ამ ღვაწლის შეფასება მხოლოდ მუსიკალურ-საოპერო მოღვაწეობით არ შემოიფარგლება. ეს იყო უდიდესი მოვლენა ჩვენს საზოგადოებრივ და ესთეტიკურ სახელოვნებო ცხოვრებაში. 1993-1996 წლებში ბათუმი ჩვენი კულტურული

ცხოვრების ცენტრად იქცა და ამ საშვილიშვილო საქმეში მის მიერ დადგმულმა სამივე ოპერამ („აბესალომ და ეთერი“, „ლელა“, „ოტელო“) დიდი როლი ითამაშა. ამას თუ დავუმატებთ ბათუმის „ბავშვთა ოპერაში“დადგმულ „პრინცესა ტურანდოტს“, რომელმაც პირდაპირ ფურორი მოახდინა ჩვენშიც და იტალიაშიც, ვენეციის ფესტივალზე, საერთო პანორამა უფრო ნათლად დაგვიდგება თვალწინ.

ხუთი წლის მანძილზე (1980-1985 წ.წ) გრიბოედოვის რუსული დრამატული თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელი იყო და ამ ხუთი წლის განმავლობაში თხუთმეტი სპექტაკლი განახორციელა, უპირატესად თანამედროვე რუსული პიესები, გამორჩეულნი მკვეთრი პუბლიცისტურობით და კრიტიკული სიმახვილით, ხოლო სპექტაკლმა ლ.რაზუმოვსკაიას პიესის „ძვირფასი ელენა სერგეევნას“ მიხედვით დადგმულმა, თავისი მკაცრი რეალიზმითა და მამხილებელი პათოსით საყოველთაო ყურადღება მიიპყრო და რუსული ოფიციალური წრეების მძაფრი პროტესტი გამოიწვია. გიზო ჟორდანიას მოღვაწეობის ბოლო პერიოდი მჭიდროდ იყო დაკავშირებული მარჯანიშვილის თეატრთან (2006-2016). აქ მან რვა სპექტაკლი დადგა, რომელთაგან აუცილებლად უნდა მოვიხსენიოთ რეზო გაბრიაძის „სამოთხის ჩიტი“ (1982), მოლიერის „ძალად ექიმი“ (2007), ტოლსტოის „ჰაჯი მურატი“ (2014). ამ უკანასკნელის ინსცენირება მასვე ეკუთვნის. საერთოდ კი მის მიერ ინსცენირებულ ნაწარმოებთა რაოდენობა ორ ათეულს აღწევს.

დიდ რეჟისორს ვერ დავემშვიდობებით, თუ არ მოვიგონეთ მის მიერ სოხუმის ქართულ თეატრში დადგმული ორი შესანიშნავი სპექტაკლი — ნოდარ დუმბაძის „მარადისობის კანონი“ (1982 წ.) და პოლიკარპე კაკაბაძის „ყვარყვარე თუთაბერი“ (1985წ.), რომელშიც რეჟისორმა და მსახიობებმა გ. ქავთარაძემ და დ. ჯაიანმა მთავარი გმირების (ყვარყვარე, ტიტე ნატუტარი) შემსრულებლებმა სრულიად ახალი ინტერპრეტაციები შემოგვთავაზეს.

ყველაფერი ეს ცოცხლობს თანამედროვეთა მოგონებებში, ცოცხლობენ სასწავლო სცენაზე დადგმული მისი ოცდახუთი სპექტაკლის გმირები...ყველაფერი ეს გვაძლევს იმის საფუძველს, რომ გიზო ჟორდანიას სახელი და საქმენი უკვდავია.

საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო; საქართველოს თეატრალური საზოგადოება.

სანთელი

მეუღლე ნათელა ვაჩნაძე, შვილები ერეკლე, ირინე ჟორდანიები, რძალი ლალი შილაკაძე, შვილიშვილები მარიამ ჟორდანია, ნიკა სიხარულიძე იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

გიზო ჟორდანია

გამოსვენება 22 XI, 15 საათზე ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრიდან. დაკრძალვა ვაკის სასაფლაოზე.

და ნანა ჟორდანია, დისწული ქეთი ჩხეიძე, დის შვილიშვილები ნიკა, ელენე ღლონტები მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

გიზო ჟორდანია

რძალი ქეთევან ობოლაძე-ჟორდანია, ძმისწულები ლევან, თინათინ ჟორდანიები, ძმის შვილიშვილები ქეთევან, მარიამ ჟორდანიები, ანანო ბაკლიშვილი ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა ყველასათვის საყვარელი და ღირსეული პიროვნება

გიზო ჟორდანია

გამოსვენება 22 XI, 15 საათზე, ზ. ფალიაშვილის სახ. ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრიდან.

საქართველოს ბიზანტინოლოგთა ეროვნული კავშირი ღრმა მწუხარებით უერთდება ფართო საზოგადოების გულისტკივილს საქართველოს ღირსეული შვილის, ქართული სულიერი კულტურის დიდი მოამაგის

გიზო ჟორდანიას

გარდაცვალების გამო. გულწრფელ თანაგრძნობას უცხადებს მთელ მის ოჯახს, მეუღლეს — ქალბატონ ნათელა ვაჩნაძეს და ბატონ ერეკლე ჟორდანიას, ეროვნული კავშირის პრეზიდენტს — მამის გარდაცვალების გამო.

საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიასთან არსებული ქრისტიანული კვლევის საერთაშორისო ცენტრი ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა თვალსაჩინო ქართველი ხელოვანი, ქართული თეატრის ღვაწლმოსილი მოღვაწე და დიდი პიროვნება

გიზო ჟორდანია

და მის მეუღლეს, პროფესორ ნათელა ვაჩნაძეს უცხადებს თანაგრძნობას.

ისტორიის, ეთნოლოგიის, რელიგიის შესწავლისა და პროპაგანდის სამეცნიერო ცენტრის გამგეობა და თანამშრომლები თანაგრძნობას ვუცხადებთ პროფესორ ნათელა ვაჩნაძეს მეუღლის, თვალსაჩინო ქართველი ხელოვანის, ქართული თეატრის ღვაწლმოსილი მოღვაწისა და დიდი პიროვნების

გიზო ჟორდანიას

გარდაცვალების გამო.

გიზო ჟორდანია

ქართულმა თეატრმა დიდი დანაკლისი განიცადა. გარდაიცვალა ღვაწლმოსილი ქართველი რეჟისორი **გიზო ჟორდანია**.

ბატონი გიზო მრავალი წელი მოღვაწეობდა რუსთაველის თეატრში და არაერთი შესანიშნავი სპექტაკლი დადგა, როგორებიცაა: „უკანასკნელი მასკარადი“, „ხოგაის მინდია“, „გააზნაურებული მდაბიო“...

ბატონმა გიზომ რუსთაველის თეატრში მოიყვანა თავის აღზრდილ მსახიობთა ჯგუფი და გზა გაუკვალა ახალგაზრდებს. ამ ჯგუფთან დადგა სწორედ მცირე სცენაზე საინტერესო სპექტაკლები: „ჰამლეტი“, „ანა ფრანკის დღიური“, „მუსუსი“ და სხვა.

რუსთაველის თეატრი ღრმა მწუხარებას გამოთქვამს ბატონი გიზო ჟორდანიას გარდაცვალების გამო და თანაუგრძნობს მის ოჯახს.

რუსთაველის თეატრი

გარდაიცვალა საქართველოს დამსახურებული არტისტი, ბატონი

გაიოზ (გიზო) ჟორდანია

კიდევ ერთი დიდი პიროვნება დააკლდა საქართველოს.

ბატონი გიზო არაერთი ჯილდოს მფლობელი და პრემიის ლაურეატია. მას ასზე მეტი სპექტაკლი აქვს დადგმული, მათ შორისაა „ჰაჯი მურატი“, „ანა ფრანკის დღიური“, „სამანაშვილის დედინაცვალი“, „ხოგაის მინდია“ და სხვა.

გიზო ჟორდანიას ბოლო დადგმით „აბესალომ და ეთერი“ 2016 წელს გაიხსნა ოპერის განახლებული თეატრი.

საქართველოს კულტურის ფონდის პრეზიდიუმი ღრმა მწუხარებას გამოთქვამს ბატონი გიზო ჟორდანიას გარდაცვალების გამო, უსამძიმრებს ოჯახს, სამეგობროს და მთლიანად საქართველოს.

საქართველოს თეატრალური საზოგადოება ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა გამოჩენილი ქართველი ხელოვანი, საქართველოს სახალხო არტისტი, შოთა რუსთაველის სახელობის პრემიის ლაურეატი, თეატრალური საზოგადოების პრეზიდიუმის წევრი

გიზო ჟორდანია

გულიკო ჩაფიძე ოჯახით დიდი მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა

გიზო ჟორდანია

სანთელი

რევაზ, ზაზა, ნიკო თევზაძეები ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა შესანიშნავი პიროვნება, ბატონი

ჯუმბერ ჩიხლაძე

და თანაგრძნობას უცხადებენ მის ქალიშვილს, ქალბატონ მაია ჩიხლაძეს და ოჯახის ახლობლებს.

ყოფილი „საქნავთობის“ თანამშრომლები ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა დამსახურებული მენავთობე, კეთილშობილი პიროვნება, ბატონი

ჯუმბერ ჩიხლაძე

და სამძიმარს უცხადებენ ოჯახსა და მის ახლობლებს.

◎ შემთხვევა

შარტავას ქუჩაზე 16 წლის მოზარდის ცხედარი იპოვეს

ტელეკომპანია „იმედის“ ინფორმაციით გარდაცვლილი მშენებარე კორპუსის მუშებმა ორმოში იპოვეს.

არსებული ინფორმაციით, გოგონას ოჯახის წევრები რამდენიმე დღის განმავლობაში ეძებდნენ.

შსს-მ მომხდარზე გამოძიება სსკ-ის 115-ე მუხლით დაიწყო, რაც თვითმკვლელობამდე მიყვანას გულისმხობს.

განცხადება

შპს სასწავლო უნივერსიტეტი გეომედი აცხადებს ღია კონკურსს სამართლის ფაკულტეტზე პროფესორის და ასოცირებული პროფესორის აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად.

იხილეთ ვებ-გვერდი www. geosis.edu.ge

ტელ.: 2 75 25 20.

განცხადება

იყიდება დიდი დიღმის პირველ მიკრორაიონში, კლინიკა „იმედიდან“ ორასიოდე მეტრში მდებარე მიწის ნაკვეთი, რომელიც კაპიტალური გალავნით არის შემოღობილი და სხვადასხვა სახეობის ასამდე მსხმოიარე ნარგავითაა განაშენიანებული. ყველა კომუნიკაცია (გაზი, დენი, კანალიზაცია) ჭიშკართანაა მიყვანილი, წყალი კი შეყვანილია. ნაკვეთის ფართობია 1250 კვ. მეტრი. შეიძლება ნახევრის ყიდვაც. ფასი — შეთანხმებით. ტელ.: 598 51 81 35; 599 16 81 71; 599 11 19 11.

რეკლამა

„საქართველოს რესპუბლიკაში“

სულხან-საბას ქ. №3.
29 3-13-34;
599 797679

სარკევ, ძვირფასო, მითხარი...

მარჩიელობის ხელოვნება დიდად გავრცელებული იყო ჯერ კიდევ ანტიკურ სამყაროში. იმ ხანებში საგანგებო ქურუმთა კასტებიც არსებობდნენ, რომელთა საქმე წინასწარმეტყველება იყო. ძველი ბერძნები ცეცხლში ფქვილის ჩაგდებით, კუნძში ნაჯახის ჩარჭობით, მამლის ნაკენკი მარცვლებით, ასევე უამრავი სხვა ხერხით მარჩიელობდნენ.

მარჩიელობა — ესაა მომავლის შესახებ ინფორმაციის მიღების მიზნით იმქვეყნიურ ძალებთან კონტაქტის დასამყარებლად ჩატარებული რიტუალი.

მარჩიელობის ერთ-ერთი სახეობა — სიზმრების ახსნა — მისი უძველესი ფორმაა. არაბულ კულტურაში დიდადაა გავრცელებული მარჩიელობის ისეთი სახეობები, როგორებიცაა **ქირომანტია** — ბედის წინასწარმეტყველება ხელისგულის ხაზებით და **ასტროლოგია** — წინასწარმეტყველება ვარსკვლავებით.

სამარჩიელოდ ოდითგანვე „უწმინდურ“ ადგილებს — მიტოვებულ სახლებს, სხვენებს, ასევე „ჩვენსა“ და „უცხო“ სამყაროებს შორის სასაზღვრო

სივრცეებს — ღუმელს, სახლის ზღურბლს, მის გარე კუთხეს, გზაჯვარედინს, მიჯნას, სასაფლაოს ირჩევდნენ.

შუა საუკუნეებში დასავლეთში პოპულარული იყო მარჩიელობა წიგნში შემთხვევით ამორჩეული სტრიქონების წაკითხვით.

ნუმეროლოგიაში — რიცხვებით მარჩიელობაში, მიჩნეულია, რომ ნებისმიერი თვის 1, 10, 19 ან 28 რიცხვში დაბადებულებს გულის დაავადებების, ხანდაზმულ ასაკში კი მაღალი წნევის საფრთხეები ემუქრებათ.

ბანქოს ქაღალდით მარჩიელობის დროს გულის ან აგურის კიკო იმას ნიშნავს, რომ ნატვრა შეგისრულდებათ, ჯვრისა ან ყვავის ტუზი კი — რომ არა.

სულებთან კონტაქტის დასამყარებლად ადამიანები ყელიდან ჯვრებს და წელიდან ქამრებს იხსნიდნენ, სამოსელზე ყველა კვანძს, ქალიშვილები კი ნაწნავებს შლიდნენ. სახლიდან პირჯვრის გადაუსახავად, ჩუმად მიდიოდნენ სამარჩიელო ადგილამდე, თან ცდილობდნენ, ისინი გზაში არავის დაენახა.

საგულისხმოა, რომ ამჟამად ჯადოსნობისთვის ტაჯიკეთში 7 წლით ციხეში სვამენ, 1 ნოემბერი კი ყავაზე მარჩიელობის დღეა.

◎ სათრეველები

აბრაგები და „ვარიაგები“

თძმული „რუსთავ-ორის“ 15 ნოემბრის ტელეინტერვიუზე

რომ დაიფრინეს ჭიტლაყით მიხო და მისი ჭილყვავი, თქვეს: აყლაყუდა ჯაყოსო სურს, ოდესიდან დაყნოსოს ცხვირი სად უნდა ჩაყოს, რომ ხალხს ტვინი გაულაყოსო, თან „რუსთავ-ორის“ იორღით —

გაბუნიაანთ გიორგით, ჯოჯოხეთიანთ ნიკათი განდგომილები დაყოსო!.. მათში ბევრი ჰყავს ნაგვემი, პირადად რომ აქვთ ნაგემი მიხოს და „ვარიაგების“ ვერდიქტი — „ცოცხზე“ ნაგები!

ფიქრები ოჯახზე

რად ჯახირობს, რომ ჯახირობს
ვის რით დაკავშირებია,
ვინც უარყოფს, ოჯახი რომ
ცოლ-ქმარი და შვილებია!
ვაჟკაცობას, დიაცობას
ვინც რომ დაუშინებია,
დროზე გვმართებს მისი გმობა
უჩინოს და ჩინებიანს.

როცა ლარს უტევს „კუპონა“

გოციკომ, ანუ კუპონამ
ლარს ნაპრალი თუ უპოვა,
იცის ნაცების რუპორმა,

როგორ გვაქციოს უპოვრად.
და დღეს იმითი ნეტარებს,
რომ გესლავს პარლამენტარებს!

წერეთელმა დაგვიბარა!

შავი კენჭები რაკი გახშირდა,
არა თეთრ კენჭთა ბარიბარაო,

ნარჩემაშვილო, შენგან წაშლილმა
წერეთელმა რა დაგვიბარაო?

ალექსანდრე შენგელია

არსენ იაცენიუკი: საакაშვილისთანა დემაგოგები, პოპულისტები და პოლიტიკური კლოუნები ყველა ქვეყანაში არსებობენ და არც უკრაინაა გამონაკლისი

გერმანულ გაზეთ „ველტ“-ში გამოქვეყნებულ ინტერვიუში უკრაინის ყოფილი პრემიერ-მინისტრი არსენ იაცენიუკი საუბრობს თავის საქმიანობაზე 2014 წლიდან, როცა იგი უკრაინის მთავრობის მეთაური იყო. მას ლანძღავდნენ, აკრიტიკებდნენ... ბოლოს მან პრემიერის პოსტი დატოვა კორუფციაში ბრალდების გამო. დღეს არსენ იაცენიუკი პარტია „სახალხო ფრონტის“ თავმჯდომარეა. მას ჟურნალისტი რიჰარდ ჰელცინგერი ესაუბრება.

— საქართველოს ყოფილი პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი ამას წინათ ოდესის ოლქის გუბერნატორობიდან გადადგა. იმავდროულად მან მკვეთრად გააკრიტიკა პრეზიდენტი პეტრო პოროშენკო და განაცხადა, რომ იგი გავლენიან ოლიგარქებს მფარველობს და ეხმარებაო...

— ამ შემთხვევაში ჩვენ საქმე გვაქვს პოპულისტის ფენომენთან. როცა პოპულისტები ატყობენ, რომ მარცხდებიან, ისინი ყოველთვის ეძებენ თავის გამართლების საშუალებას, განტევების ვაცს და თავიანთ შეცდომებს სხვას გადააბრალებენ ხოლმე. მაგრამ პოლიტიკოსის ამოცანა იმაში კი არაა, რომ დაპირებები მარჯვნივ და მარცხნივ არიგოს და საკუთარი თავი სამართლიანობისთვის, კეთილდღეობისა და თავისუფლებისთვის დიდ მებრძოლად წარმოადგინოს, არამედ იმაში, რომ მოსახლეობას თავისი მუშაობის რეალური შედეგები აჩვენოს. აი, ამაში მიხეილ სააკაშვილმა წარუმატებლობა განიცადა. საერთოდ, მასზე ლაპარაკი ახლა დროის ტყუილად დახარჯვა იქნებოდა. დემაგოგები, პოპულისტები და პოლიტიკური კლოუნები ყველა ქვეყანაში არსებობენ და უკრაინა ამ მხრივ გამონაკლისი არ არის.

„ნიუსპრესი“

„თბილსერვის ჯგუფი“ თოვლს ებრძვის

შპს „თბილსერვის ჯგუფი“ მთელი ღამის განმავლობაში საგანგებო რეჟიმში მუშაობდა. წყნეთში, ბეთანიაში, კოჯორსა და კიკეთში გზის გაწმენდითი სამუშაოები მიმდინარეობდა. ადგილზე მობილიზებული იყო სპეცტექნიკა და დაიყარა ტექნიკური მარილი. ამ ეტაპზე ავტოტრანსპორტით გადაადგილება შეუფერხებლად ხორციელდება. ადგილზე რჩება ტექნიკა და საჭიროების შემთხვევაში სამუშაოები კვლავ გაგრძელდება.

შეფერხების შემთხვევაში, გთხოვთ, დარეკოთ „თბილსერვის ჯგუფის“ ცხელ ხაზზე: 2 61 90 50

აჭარაში საადრეო მანდარინს მოიყვანენ

აჭარის სოფლის მეურნეობის სამინისტროს ქვეპროგრამის ფარგლებში საადრეო მანდარინის ბაღების გაშენების ხელშეწყობა თანადაფინანსების პრინციპით გრძელდება. ქვეპროგრამის მიზანია საადრეო მანდარინის ბაღების გაშენება, ინტენსიური ტექნოლოგიების დანერგვის ხელშეწყობა, დაბალმოსავლიანი და ძველი ამორტიზებული მანდარინის ბაღების პერსპექტიული და ექსპორტზე ორიენტირებული საადრეო ჯიშებით ჩანაცვლება და შესაბამისად მეციტრუსე ფერმერთა და აგრომეწარმეთა ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესება.

აღნიშნული ქვეპროგრამით ქობულეთისა და ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტში 40 ფერმერი ისარგებლებს, რომლებიც 7 ჰა-ზე გააშენებს 7000 ძირ საადრეო მანდარინის ნერგს.

◎ ანეკდოტები

— **გასაოცარია**, პირდაპირ, როგორ უცბად იცვლება კაცი ქორწინების შემდეგ!

— აბა, ნუღა იტყვი! მაინც, რა ცვლილება შეამჩნიე საკუთარ თავს?

— რა და უწინ უკლებლივ ყველა ქალი მომწონდა.

— ახლა?

— ახლა ორით ნაკლები...

* * *

ტურისტულ სააგენტოში ზარია:

— ალო, ზამთრის სეზონი მოდის, დასვენება მინდა.

— მაინც რა თანხის დახარჯვას აპირებთ დასასვენებლად?

— დაახლოებით, 500 ლარის.

— კარგ დასვენებას გისურვებთ, პატივცემულო!

* * *

ეზოში სიდედრი მანქანის საჭეს უჯდება, სიძე ფანჯრიდან გასცქერის:

— საით გაგიწევიათ, დედავ?

— სასაფლაოზე, შვილო.

— მერე, მანქანას უკან ვინ მოიყვანს?

* * *

— **ეჰ**, კაი დრო იყო უწინ! მიდიოდი კაცი 20 ლარით მაღაზიაში, მოგქონდა იქიდან ერთი თავი ყველი, 5 კილო კარტოფილი, მაგდენივე პამიდორი, კარაქი, თუ გაგიმართლებდა, ერთ-ორ კილო ხორცსაც მოაყოლებდი. ახლა? ვერ გაინძრევი კაცი, ყველგან სათვალთვალო კამერებია!..

* * *

ძუჩაში თავჩაქინდრული, ორივე თვალჩალურჯებული, მაგრად ნაცემი კაცი მიდის. მას გულკეთილი გამვლელი მიმართავს:

— ბატონო, ძალიან ცუდად გამოიყურებით, მოდით, სახლამდე მიგაცილებთ!..

— ოღონდ მაგას ნუ იზამთ, პატივცემულო, ძლივს გამოვაღწიე იქიდან!..

განცხადება

იყიდება უშუალოდ კურორტ „საირმის“ ტერიტორიაზე, სამკურნალო წყლებიდან რამდენიმე ათეული მეტრის დაშორებით მდებარე 2433 კვ. მეტრი საუკეთესო მიწის ნაკვეთი. ფასი — შეთანხმებით. ტელ.: 599 36 00 35; 599 17 21 21; 599 79 76 79.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
სულხან-საბას ქ. №3

მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ძოწულია
293-13-34
599 36-00-35

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი
599 53-76-16;
ალეკო ასლანიშვილი
599 56-81-86;
რუსლან რუსია
599 17-21-21;

პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე
514 33-33-24

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება გამომცემლობა „კოლორში“
რკინიგზის ჩიხი №20

uac(უაკ)070.4(479.22)
ს—323
ISSN 2233-3851
9 772233 385001

ავტორთა საყურადღებოდ!

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

„საქართველოს რესპუბლიკა“ შენი გაზეთია, აუცილებლად გამოიწერე, იყიდე, წაიკითხე!

უცხოური ვალუტის კურსი:
აშშ დოლარი - 2.4889; ევრო - 2.6420;
ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 3.0900;
100 რუბლი - 3.8221; თურქული ლირა - 0.7330;
აზერბაიჯანული მანათი - 1.4113;
1000 სომხური დრამი - 5.1863.

ამინდი 22 ნოემბრისთვის

აღმოსავლეთი საქართველო:		
ბარი -	ღამე -3,	დღე +8
მთიანი რაიონები -	ღამე -8,	დღე +7
დასავლეთი საქართველო:		
ბარი -	ღამე +4,	დღე +18
მთიანი რაიონები -	ღამე -1,	დღე +14
თბილისი:	ღამე 0,	დღე +3

დაგვირეკეთ, მოგვწერეთ:
ტელ: 293-13-34, 599-79-76-79
WWW.SAKRESP.GE